



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საპარტიველო

სასამართლო მონიტორინგის ანგარიში #2

მონიტორინგის პერიოდი:
ივნისი 2012 - ოქტომბერი 2012

საქართველოს უზენაესი სასამართლო
SUPREME COURT OF GEORGIA



USAID
ამერიკელი ხელნახან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



**საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო**

სასამართლო მონიტორინგის ანგარიში

#2

კვლევის პერიოდი: 2012 წლის ივნისი – 2012 წლის ოქტომბერი

2013 წლის აპრილი
თბილისი, საქართველო

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „ადმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

სარჩევი

მადლიერების გამოხატვა.....	3
მოკლე შინაარსი.....	4
სასამართლო მონიტორინგის მიზნები და დაკვირვებული საქმეების რაოდენობა	6
მეთოდოლოგია.....	8
მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები.....	12
კონტროლის პალატა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ (2 საქმე).....	12
სახელმწიფო აუდიტის სამსახური შპს „მენეჯმენტ სერვისის“ და შპს „ელიტა ბურჯის“ წინააღმდეგ.....	13
სახელმწიფო აუდიტის სამსახური კერძო პირების წინააღმდეგ (2 საქმე).....	13
ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ.....	13
ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი პრინციპები	14
საქმის განხილვის გონივრული ვადა და პუნქტუალობა.....	14
შედეგები	15
მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები.....	17
რეკომენდაციები.....	18
საქმის საჯაროდ განხილვის უფლება	20
შედეგები	21
მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები.....	22
რეკომენდაციები.....	23
მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი	25
შედეგები	26
ინკვიზიციურობის პრინციპი (მოსამართლის ინიციატივა).....	33
შედეგები	34
მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები.....	35
რეკომენდაციები.....	36
მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობის პრინციპი	38
შედეგები	39
მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები.....	40
რეკომენდაციები.....	41
დავის შედეგები.....	42
დასკვნა.....	43

მადლიერების გამოხატვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სურს მადლიერება გამოხატოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების, თელავის, გორისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების მიმართ, რომლებმაც დამკვირვებლებს სასამართლო დარბაზებში ჩანაწერების თავისუფლად გაკეთების საშუალება მისცეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ასევე მადლობას უხდის სასამართლოს ადმინისტრაციულ პერსონალს, მათ შორის, მანდატურებს, მოსამართლეთა თანაშემწეებს და სხდომის მდივნებს.

ამასთანავე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ სასამართლო სისტემების სპეციალისტის, ბატონი ნილ ვაინშტეინის, მიმართ, რომელმაც ამ კვლევის განხორციელებაში თავისი უაღრესად ღირებული გამოცდილებით, წინადადებებითა და რჩევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ასევე ფოლკე ბერნადოტეს სახელობის აკადემიისა და ეუთოს კანონის უზენაესობის ოფისის მიმართ, ადმინისტრაციული სასამართლოების მონიტორინგის სფეროში თეორიული მასალის გაზიარებისთვის.

მოკლე შინაარსი

ეს არის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ადმინისტრაციული საქმეების მონიტორინგის მეორე ანგარიში. იგი ასახავს პერიოდს 2012 წლის 1 ივნისიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით. ანგარიში მოიცავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების სასამართლო მონიტორინგის მონაცემებს, რომლებიც თბილისის, ბათუმის, გორის, თელავისა და ხელვაჩაურის პირველი ინსტანციის სასამართლოებში იქნა მოპოვებული. დაკვირვება განხორციელდა 142 საქმის 282 სხდომაზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეთა სხდომების დაკვირვების შედეგები შედარებით რუტინული საქმეებისგან განცალკევებით არის განხილული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დააკვირდა სასამართლოს ადმინისტრაციისა და მოსამართლეების მიერ ისეთი პრინციპების დაცვას, როგორებიცაა: საქმის განხილვის გონივრული ვადა და პუნქტუალურობა, საქმის საჯაროდ განხილვის უფლების დაცვა, მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვა, ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენება და მხარეთა თანასწორობის დაცვა.

ანგარიშის ძირითადი დასკვნები:

- კერძო პირთა სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმეების პროცენტული მაჩვენებლის უმნიშვნელო ზრდის მიუხედავად, ადმინისტრაციულ დავებში სახელმწიფოს წარმატების მაჩვენებელი კვლავ მაღალია, რაც ბადებს კითხვებსა და ეჭვებს სასამართლოს არაობიექტურობაზე.
- როგორც წესი, მოსამართლეები განასხვავებდნენ რუტინულ და მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებს. მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების შემთხვევებში ისინი უპირატეს მდგომარეობაში სახელმწიფოს აყენებდნენ. ამასთანავე, მოსამართლეების თუ სასამართლოს ადმინისტრაციის მხრიდან ილახებოდა საქმეთა საჯაროდ განხილვის უფლება.
- ზოგ შემთხვევაში მოსამართლეები მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების განხილვის პერიოდს ზედმეტად ახანგრძლივებდნენ, ამასთანავე, ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებს არ აძლევდნენ საკმარის დროს სხდომისთვის მოსამზადებლად. ერთ შემთხვევაში მოსამართლემ უფლება მისცა სახელმწიფო მხარის წარმომადგენელს, ადმინისტრაციული ორგანოს სახელით შუამდგომლობა შესაბამისი მინდობილობის გარეშე დაეყენებინა.
- როგორც წესი, სასამართლოები ვერ უზრუნველყოფდნენ მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეთა სხდომების განრიგში გამოქვეყნებას; ამასთანავე, აღნიშნული სხდომები შეუსაბამოდ მცირე ზომის დარბაზებში იმართებოდა. გარდა ამისა, სასამართლოს პერსონალი უარს აცხადებდა იმ სხდომების თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე, რომლებიც განუსაზღვრელი ვადით იყო გადადებული.
- მოსამართლეები იშვიათად იყენებდნენ ინკვიზიციურობის პრინციპს იმისთვის, რომ დახმარებოდნენ მხარეებს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ან/და ხელი შეეწყოთ საქმის დეტალების სრული გამოკვლევისთვის. თუმცა, როდესაც მოსამართლეებმა რამდენიმე შემთხვევაში ინიციატივა გამოიჩინეს, იყო საკმარისი

საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს სახელმწიფო მხარის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას ისახავდა მიზნად.

- მოსამართლეები ზოგადად პუნქტუალურობას იჩენდნენ და საქმეზე გადაწყვეტილება კანონმდებლობით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში გამოჰქონდათ. გარდა ამისა, ისინი მხარეებისთვის დავის მორიგებით დასრულების შეთავაზების მხრივ წინა მონიტორინგის პერიოდთან შედარებით მეტ ინიციატივას იჩენდნენ.
- სხდომების დროს მოსამართლეები მხარეებს წინა მონიტორინგის პერიოდთან შედარებით მათი უფლებების შესახებ უფრო ამომწურავ ინფორმაციას სთავაზობდნენ და ძირითადად საშუალებას აძლევდნენ, თავისუფლად დაეცვათ საკუთარი პოზიციები.
- სხდომის გახსნისას მოსამართლეები ძირითადად მოკლედ არ აღწერდნენ საქმის შინაარსს, თუმცა ეს გათვალისწინებულია საპროცესო კანონმდებლობით.

სასამართლო მონიტორინგის მიზნები და დაკვირვებული საქმეების რაოდენობა


„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგის პროექტის მიზანია საქართველოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა ადმინისტრაციული სამართლის სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგის ჯგუფი ესწრებოდა ადმინისტრაციული საქმეების განხილვას, აგროვებდა ამ განხილვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ამუშავებდა მიღებულ მონაცემებს, შეიმუშავებდა სტატისტიკურ მაჩვენებლებს და ამზადებდა შესაბამის დასკვნებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ეს პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია, რადგან მისი შედეგები და დასკვნები საჯაროა და მონიტორინგის შედეგად ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდება ამომწურავი მიმოხილვა იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს სინამდვილეში პროცესები საქართველოს სასამართლო დარბაზებში. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს საქართველოს სასამართლო სისტემის მდგომარეობისა და იმ სფეროების შესახებ საჯარო დებატების გამართვას, რომლებიც შესაძლოა რეფორმირებას საჭიროებდეს.

ამ ანგარიშში აღწერილი სასამართლო მონიტორინგი მოიცავს პერიოდს 2012 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 31 ოქტომბრამდე. დაკვირვება წარმოებდა თბილისის (შემდგომ – თბილისი) ბათუმის (შემდგომ – ბათუმი), გორის (შემდგომ – გორი), თელავის (შემდგომ – თელავი) და ხელვაჩაურის (შემდგომ – ხელვაჩაური) პირველი ინსტანციის სასამართლოებში. აღნიშნული მონიტორინგის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პირველად განახორციელა დაკვირვება გორსა და თელავში.

მითითებულ პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მონიტორინგი განახორციელა 142 ადმინისტრაციულ დავაზე, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპის ჩათვლით, თითოეული საქმე კი რამდენიმე სხდომას მოიცავდა. ჩვენი დამკვირვებლები საერთო ჯამში 282 სხდომას დაესწრნენ, მათ შორის, 147 სხდომას (88 საქმე) თბილისში, 106 სხდომას (31 საქმე) ბათუმში, 6 სხდომას (4 საქმე) ხელვაჩაურში, 19 სხდომას (16 საქმე) გორში და 4 სხდომას (3 საქმე) თელავში.¹ ამ ანგარიშში ბათუმისა და ხელვაჩაურის სტატისტიკური მონაცემები ერთად იქნება განხილული. გორისა და თელავის მონაცემებიც ერთად განიხილება. აღნიშნული სასამართლოების სტატისტიკური მონაცემების გაერთიანებისას გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ფაქტორი: პირველი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვირვებები გაერთიანებულ სასამართლოებში მსგავსი იყო. გარდა ამისა, შეუძლებელი იქნებოდა სტატისტიკურ მონაცემებზე საუბარი მხოლოდ ხელვაჩაურის 4 საქმეზე და თელავის 3 საქმეზე. ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმისა და ხელვაჩაურის შემთხვევებში სასამართლოები ერთ რეგიონში მდებარეობს. გორისა და თელავის, ასევე ბათუმისა და ხელვაჩაურის დაკვირვებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობისას ისინი ანგარიშში ხაზგასმით იქნება აღნიშნული.

¹ იხილეთ დანართი 1, ცხრილი 1.1. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დააკვირდა მონიტორინგის პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული ადმინისტრაციული დავების (არ მოიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებს) 10% (991-დან 88), ბათუმში – 16% (197-დან 31), ხელვაჩაურში – 11% (37-დან 4), გორში – 21% (77-დან 16), თელავში – 10% (30-დან 3).

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლები ზემოთ აღწერილ სხდომებთან ერთად დაესწრნენ 86 სხდომას (56 საქმე), რომლებიც განუსაზღვრელი ვადით გადაიდო, მხარეთა მორიგების გზით შეწყდა, დაუშვებლად იქნა ცნობილი ან მხარეების მიერ იქნა გამოთხოვილი.² აღნიშნული 56 საქმე არ არის გათვალისწინებული ამ ანგარიშის საერთო სტატისტიკაში, თუმცა ისინი მიღებულია მხედველობაში მოსამართლის მიერ მხარეებისათვის მორიგების შეთავაზებაზე საუბრისას.



² იხილეთ დანართი 1, ცხრილი 1.2.

სასამართლო მონიტორინგის მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დამკვირვებლებისთვის გამოსაყენებლად შეიმუშავა სპეციალური კითხვარი, რომელიც ზუსტად იმეორებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საპროცესო მოთხოვნებს³ (იხილეთ დანართი 9)⁴. კითხვარი შედგება 140 კითხვისგან, პასუხის რამდენიმე ალტერნატივით. გარდა ამისა, ყოველი კითხვის შემდეგ მოცემულია სპეციალური გრაფა დამატებითი კომენტარებისთვის. ეს უზრუნველყოფს დამკვირვებელთა მიერ სხდომის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის დაფიქსირებას.

ამასთანავე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეიმუშავა ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც შეგროვებული ინფორმაციის ძალზე მარტივად დამუშავების და შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების მიღების საშუალებას იძლევა. მონაცემთა ბაზა კითხვარის ბეჭდური ვერსიის იდენტურია, რაც ამარტივებს მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებასა და ადმინისტრირებას. ზემოაღნიშნული კითხვარი ამ ანგარიშის მე-9 დანართშია მოცემული, მონაცემთა ბაზა კი დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მოთხოვნისთანავე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მონიტორინგს 13 დამკვირვებლის საშუალებით ახორციელებდა: 7 მათგანი ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა თბილისში, 4 – ნახევარ განაკვეთზე ბათუმში და 2 – სრულ განაკვეთზე გორსა და თელავში. დამკვირვებლები იყვნენ იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებიც გულდასმით შეირჩნენ ღია კონკურსის გზით. სასამართლო სხდომების დაკვირვებამდე თითოეულმა დამკვირვებელმა რამდენიმედღიანი ინტენსიური თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები გაიარა. როგორც წესი, თბილისში დაკვირვებას დღის განმავლობაში სულ მცირე 2 დამკვირვებელი აწარმოებდა. ისინი ესწრებოდნენ სხდომებს როგორც ახალ, ისე გადადებულ საქმეებზე. ამავე დროს, დღის განმავლობაში სულ ცოტა 1 დამკვირვებელი მიდიოდა სასამართლოში დაკვირვების მიზნით ბათუმში, ხელვაჩაურში, გორსა და თელავში. დამკვირვებლები სასამართლოში მაშინაც კი მიდიოდნენ, როდესაც სასამართლო სხდომები არ იყო გამოქვეყნებული ოფიციალურ განრიგში. ეს მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, მონიტორინგის განხორციელებას და განრიგში გამოუქვეყნებელი სხდომების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების მოპოვებას, და, მეორე მხრივ, მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე (რომელთა შესახებ ინფორმაციაც, როგორც წესი, განრიგში არ ქვეყნდებოდა) მონიტორინგის განხორციელებას.⁵

დამკვირვებლებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ სპეციალურად დანიშნული იურისტი/კოორდინატორი ზედამხედველობდა. კერძოდ, ყოველ პარასკევს

³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, თბილისი, 23/07/1999, №2352-რს; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 14/11/1997, №1106-ის.

⁴ იმისათვის, რომ მოსამართლეების მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებული პრინციპების განხორციელების უფრო ნათელი სურათი შექმნილიყო, კითხვარებს რამდენიმე კითხვა დაემატა. კითხვები ეხებოდა სხდომის განმავლობაში აუდიოჩაწერებს, დავის მუხლების მითითებას, მოსამართლეების, სხდომის მდივნებისა და მხარეების კომენტარებს, მხარეებისთვის მათი უფლებების განმარტებას.

⁵ იხილეთ „მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პროექტის კოორდინატორი ადგენდა მომავალი კვირის გრაფიკს, რომლის მიხედვითაც დამკვირვებლები სხდომებს ესწრებოდნენ. მომდევნო ორშაბათს, ადმინისტრაციულ საქმეთა სხდომების ოფიციალური განრიგის შესაბამისად ხდებოდა გრაფიკის განახლება. თითოეული დაკვირვების დღის ბოლოს დამკვირვებლები პროექტის კოორდინატორს შევსებულ კითხვარს წარუდგენდნენ. დასრულებული საქმეების მონაცემები მიმდინარე საქმეების შესახებ მონაცემებისგან განცალკევებით ინახებოდა. ამასთანავე, ყოველი მიმდინარე საქმის მომდევნო სხდომის თარიღი და დრო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგის კალენდარში აღინიშნებოდა.

საქმეების შერჩევა და მონიტორინგის სფერო

მონიტორინგისთვის საქმეები შერჩეოდა შესაბამისი სასამართლოების მიერ ოფიციალურ ვებგვერდებზე⁶ გამოქვეყნებული განრიგების შესაბამისად, ხელვაჩაურის გარდა, რომელსაც ოფიციალური ვებგვერდი არა აქვს. ჩვენი დამკვირვებლები ასევე შემთხვევითი შერჩევის წესით ესწრებოდნენ სხდომებს, რომელთა დაწყების შესახებაც სასამართლოს შენობის კორიდორებში სხდომის მდივნები აცხადებდნენ, ან როდესაც ხალხისა და ჟურნალისტების სიმრავლე მიანიშნებდა, რომ გახმაურებული საქმე განიხილებოდა. ეს ის საქმეები იყო, რომლებიც ფართოდ შუქდებოდა მედიასაშუალებებით. ინფორმაციის შესაგროვებლად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ მოსამართლეთა თანაშემწეებთან, მანდატურებთან, სასამართლოს ადმინისტრაციულ პერსონალთან, მხარეებთან და მათ წარმომადგენლებთან. ინფორმაციის მრავალი წყაროდან შეგროვება განსაკუთრებით სასარგებლო იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაღალი საჯარო ინტერესის მქონე დაკვირვებულ საქმეთა უმეტესობის სხდომები სასამართლოების ოფიციალურ განრიგში არ ქვეყნდებოდა.⁷

მოცემულ ეტაპზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, ისევე, როგორც პირველი მონიტორინგის პერიოდში, აქცენტი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე გააკეთა. ამის მიზეზია ბოლო წლებში გახშირებული საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებული დავები.⁸ ამის გათვალისწინებით, სასამართლოების განრიგიდან ის საქმეები შერჩეოდა,

⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: www.tcc.gov.ge; ბათუმის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: http://www.court.ge/courts/baTumis_saqalaqo_sasamarTlo/; გორის რაიონული სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: http://www.court.ge/courts/goris_raionuli_sasamarTlo/; თელავის რაიონული სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: http://www.court.ge/courts/telavis_raionuli_sasamartlo/.

⁷ იხილეთ „მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები“.

⁸ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), 2012, ყოველწლიური ანგარიში: <http://gyla.ge/geo/news?info=842>; ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, საია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაცია, „საკუთრების უფლებების ჩამორთმევა საქართველოში“, მარტი, 2012:

http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Stripped_Property_Rights_April2012_Eng.pdf, გადამოწმებულია 31/01/2013; „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები – სოფელ გონიოს საქმე“, მარტი, 2011: <http://transparency.ge/en/post/report/problems->

რომლებშიც მხარე საჯარო რეესტრი, საკუთრების უფლების აღიარების კომისია ან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იყო.⁹

სასამართლო მონიტორინგის განხორციელებისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კიდევ ერთი პრიორიტეტი იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რომლებიც წინ უსწრებდა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს. საქართველოში ნებისმიერი ქმედება (განზრახი თუ გაუფრთხილებლობითი), რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უკავშირდება, ან ნებისმიერი ქმედება, რომელიც სახელმწიფო მმართველობის წინააღმდეგაა მიმართული და არ განეკუთვნება სისხლის სამართლის იურისდიქციას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არის მიჩნეული.¹⁰ ბევრ სხვა ქვეყანაში ამგვარი დარღვევები სისხლის სამართლის დანაშაულად მიაჩნიათ და გარანტირებულია სისხლის სამართლის პროცესის დროს დაცული ყველა უფლება. თუმცა საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს განიხილავენ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიები, რომლებზედაც ასეთი პროცედურული და უფლებრივი გარანტიები არ ვრცელდება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მხოლოდ ისეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს აკვირდებოდა, რომლებიც არ ითვალისწინებდა შესაძლო დაკავებას ან პატიმრობას და რომელთა შემთხვევაში მაქსიმალური სასჯელი ჯარიმა იყო. კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აკვირდებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოთა ადმინისტრაციული კოლეგიების მიერ განხილულ, პოლიტიკური პარტიებისთვის ან პოლიტიკური პარტიების მიერ უკანონო შემოწირულებების განხორციელების საქმეებს.

არჩევნებამდე სასამართლოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მრავალი საჩივარი წარედგინა. მათ შორის ყველაზე გახმაურებული საჩივრები პოლიტიკური პარტიებისთვის უკანონო შემოწირულებების განხორციელებას უკავშირდებოდა.¹¹ მაგალითად,

[related-protection-property-rights-case-gonio-march-2011](#), გადამოწმებულია 31/01/2013; „საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები – მეტიის საქმე“, ივლისი, 2011: <http://transparency.ge/en/post/report/problems-related-protection-property-rights-case-mestia-july-2011>, გადამოწმებულია 31/01/2013; სტუდია GNS Documentary, „საკუთრების უფლებების დარღვევები – დიდმის საქმე“. <http://www.youtube.com/watch?v=ioAZneCQ1nw>, გადამოწმებულია 31/01/2013.


⁹ იხილეთ დანართი 2, ცხრილი 2.1.

¹⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბილისი, 15/12/1984, №161 Xს, მუხლი 10; ზოგიერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შესაძლოა 90 დღემდე პატიმრობას ითვალისწინებდეს. საქართველოს კანონმდებლობის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ უფრო ამომწურავი ინფორმაციისთვის იხილეთ: Human Rights Watch, 2012, „ადმინისტრაციული შეცდომა: საქართველოს სისტემური შეცდომები ადმინისტრაციული პატიმრობის საკითხში“: <http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0112ForUpload.pdf>, გადამოწმებულია 05/02/2013.

¹¹ „ჯარიმები უკანონო შემოწირულობისთვის“, ონლაინჟურნალი „ტაბულა“, 27/02/2012, <http://www.tabula.ge/article-20055.html>, გადამოწმებულია 31/01/2013; ივანიშვილი 126 მილიონი ლარით დაჯარიმდა, „Civil.ge“, 11/06/2012, <http://civil.ge/eng/article.php?id=24874>, გადამოწმებულია 06/02/2013; „სასამართლომ ბიძინა ივანიშვილი 20 მილიონი ლარით დააჯარიმა“, ნონა მჭედლიშვილი, „რადიო თავისუფლება“, 11/08/2012, <http://www.radiotavisupleba.ge/content/ivanishvili-fined/24673520.html>, გადამოწმებულია 31/01/2012; „რის გამო დაჯარიმდა ბიძინა ივანიშვილი?“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 28/06/2012, <http://transparency.ge/blog/ris-gamo-dajarimda-bidzina-ivanishvili>, გადამოწმებულია 31/01/2012.

ბიძინა ივანიშვილი, ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი და პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, უკანონო შემოწირულებების განხორციელებისთვის რამდენიმეჯერ დააჯარიმეს. ერთ საქმეში ივანიშვილს 126 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. ასეთ ადმინისტრაციულ საქმეებზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დაკვირვების სფერო განავრცო საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებულ საქმეებით, რომელთაც არ ჰქონდათ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

გრაფიკი 4. ადმინისტრაციულ ორგანოებთან დაკავშირებული საქმეები



მ შემთხვევებში, როდესაც მოცემულ დღეს სასამართლოებში არ იყო დანიშნული სხდომები საკუთრების უფლებებთან ან არჩევნებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლები სხდომებს შემთხვევითი შერჩევის წესით ესწრებოდნენ.¹²

მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები

თითოეული სამართლებრივი პრინციპის შესახებ სტატისტიკური მონაცემების განხილვისას მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების დაკვირვებების შედეგები განცალკევებით განიხილება. საქმეები მაღალი საჯარო ინტერესის მქონედ იქნება მიჩნეული, თუ ისინი ფართოდ შუქდებოდა მედიასაშუალებებით, კერძო მხარე საჯარო პირი გახლდათ, პოტენციური ჯარიმის ოდენობა მაღალი იყო ან პოლიტიკასა და განსახილველ დავას შორის სავარაუდო კავშირი არსებობდა.

მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების მოკლე აღწერილობა ასეთია:

კონტროლის პალატა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ (2 საქმე)

კონტროლის პალატის (პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური) ერთ-ერთი მანდატი საქართველოში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობაა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის (იმ დროისთვის პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის და ამჟამად პრემიერ-მინისტრის) წინააღმდეგ საქმეები სასამართლოს კონტროლის პალატამ წარუდგინა.

2011 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაადასტურა ბიძინა ივანიშვილის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რომელიც საარჩევნო მიზნებისთვის სატელიტური ანტენების მოსახლეობისთვის დარიგებით გამოიხატა.¹³ ბიძინა ივანიშვილს 126,220,190 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

გარდა ამისა, 2012 წლის ივნისში ბიძინა ივანიშვილს პასუხისმგებლობა დაეკისრა სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის გამო, კერძოდ, შპს „ბურჯისა“ და შპს „ელიტა ბურჯისთვის“ 239 ავტომობილის გადაცემისთვის.¹⁴ ავტომობილები შემდგომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური პარტიების ინტერესებისთვის იქნა გამოყენებული. სასამართლომ განიხილა კონტროლის პალატის შუამდგომლობა და ბიძინა ივანიშვილი 22,429,941 ლარით დააჯარიმა.

¹² გამონაკლისია დავები საგადასახადო საკითხებზე, სამხედრო სამსახურზე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებიც თავისი ბუნებით სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ასეთ დავებზე მონიტორინგს არ ახორციელებდა.

¹³ საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, 31/10/1997, №1028-ლს, მუხლი 25² (1), მუხლი 34² (9).

¹⁴ იქვე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური შპს „მენეჯმენტ სერვისის“ და შპს „ელიტა ბურჯის“ წინააღმდეგ

2012 წლის 7 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ განიხილა პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შუამდგომლობა და დაადგინა, რომ შპს „მენეჯმენტ სერვისმა“ და შპს „ბურჯმა“ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ჩაიდინეს. კერძოდ, შპს „მენეჯმენტ სერვისმა“ დაიქირავა და შეაკეთა ოფისები. სარემონტო სამუშაოები შპს „ბურჯმა“ განახორციელა. ოფისები შემდგომ კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ გაქირავდა. სასამართლომ დაადგინა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ გადახდილი ქირა იმდენად დაბალი იყო, რომ კომპანიების საქმიანობა მოგებაზე გათვლილი არ ყოფილა. ამიტომ შპს „მენეჯმენტ სერვისს“ და შპს „ბურჯს“ უკანონო შემოწირულებების განხორციელებისთვის 2,848,170 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდის ვალდებულება დაეკისრა.¹⁵

სახელმწიფო აუდიტის სამსახური კერძო პირების წინააღმდეგ (2 საქმე)

2012 წლის 7 აგვისტოს პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ოთხი წევრი პოლიტიკური პარტიის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ სასარგებლოდ უკანონო შემოწირულებების განხორციელებაში იქნა დადანაშაულებული. სასამართლოსადმი მიმართვამდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა საქმის მასალები და დაადგინა, რომ მითითებული პირები არ ყოფილან შემოწირულებების ნამდვილი წყარო. მოქალაქეებს არ ჰქონდათ საშუალება, პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ განხორციელებინათ შემოწირულება, რადგან მათი შემოსავლის წყარო პენსია იყო. სასამართლომ გაიზიარა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოზიცია და აღნიშნული პირები საერთო ჯამში 24,500 ლარით დააჯარიმა.¹⁶

2012 წლის 17 აგვისტოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სასამართლოს კიდევ ერთი შუამდგომლობით მიმართა. დავა კერძო პირების მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ შემოწირულებების განხორციელებას შეეხებოდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, მათ დაადგინეს, რომ ოფიციალურ დოკუმენტაციაში მითითებული შემოწირულებების წყარო ამ შემთხვევაშიც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. დავის შედეგად ექვსი პირი საერთო ჯამში 278, 650 ლარით დააჯარიმა.¹⁷

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ სასამართლოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანების გაუქმების მოთხოვნით მიმართა. მინისტრის ბრძანებით დაშვებულ იქნა საქართველოში გადაშენების პირას მყოფ ცხოველებზე ნადირობა.¹⁸ ბრძანება 2011 წლის 1 სექტემბერს გამოიცა, სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში კი მასში რამდენიმე

¹⁵ იქვე, მუხლი 26 (1), მუხლი 34² (2).

¹⁶ იხილეთ სქოლიო 13.

¹⁷ იქვე.

¹⁸ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება, 01/09/2011, №175.

ცვლილება იქნა შეტანილი.¹⁹ 2012 წლის 4 აპრილს სასამართლომ არ დააკმაყოფილა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელი ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი პრინციპები

ადმინისტრაციულ საქმეებზე გამოყენებული სამართლებრივი პრინციპები ორ ძირითად კატეგორიად – ზოგად და სპეციალურ პრინციპებად – იყოფა. პირველი კატეგორიის პრინციპები კონსტიტუციაშია თავმოყრილი, მეორე კატეგორიის პრინციპები კი, ზოგად სამართლებრივ პრინციპებთან ერთად, სამართლის კონკრეტული სფეროების შინაარსს შეადგენს.²⁰

ამ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ განახორციელა შემდეგი ზოგადი და სპეციალური პრინციპების მონიტორინგი:

- საქმის განხილვის გონივრული ვადა და პუნქტუალობა;
- საქმის საჯაროდ განხილვის უფლება;²¹
- მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვა;²²
- ინკვიზიციურობის პრინციპი;²³ და
- შეჯიბრებითობის პრინციპი (მხარეთა თანასწორობა, დავის მიუკერძოებელი გადაწყვეტა).²⁴

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ადმინისტრაციული საქმეების განხილვა ძირითადად ინკვიზიციურობის პრინციპს ეფუძნება, რომელიც იმას გულისხმობს, რომ მოსამართლეები ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას უფრო აქტიურები უნდა იყვნენ, განსხვავებით სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებისგან, რომლებიც მხოლოდ შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება.²⁵ ამის გათვალისწინებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა ადმინისტრაციულ საქმეებზე მოსამართლეების მიერ ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებას.²⁶

საქმის განხილვის გონივრული ვადა და პუნქტუალობა

პუნქტუალობის შეფასება მნიშვნელოვანია, რათა განისაზღვროს, როგორ მართავენ მოსამართლეები დროს და რამდენად ორგანიზებული არიან. მონიტორინგის პერიოდში

¹⁹ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება, 22/09/2011, №195, და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება, 25/11/2012, №242.

²⁰ მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, თბილისი, 2009, გვ. 19.

²¹ საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 24/08/1995, №786-რს, მუხლი 85; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04/11/1950, მუხლი 6; საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, თბილისი, 04/12/2009, №2257-IIIს, მუხლი 13.

²² მ. კოპალეიშვილი, გვ. 27.

²³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 4; მ. კოპალეიშვილი, გვ. 25.

²⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 5.

²⁵ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.

²⁶ მ. კოპალეიშვილი, გვ. 27.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აკვირდებოდა, სასამართლო სხდომები დანიშნულ დროზე გვიან იწყებოდა თუ არა.

საქმის გონივრულ ვადაში განხილვა სამართლიანი სასამართლოს პრინციპის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამასთანავე, ის სასამართლოთა მართვისა და ადმინისტრირების შეფასების უკეთეს შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული უფლება მხარეებისთვის არის გარანტია გადამეტებული პროცედურული დაგვიანებების თავიდან აცილებისა, რომლებსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას სასამართლოს ეფექტიანობასა და სანდოობას.²⁷ საქართველოს კანონმდებლობით, ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილება სარჩელის რეგისტრაციიდან ორი თვის განმავლობაში უნდა იქნეს მიღებული. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე ეს ვადა შესაძლებელია ხუთ თვემდე გაგრძელდეს.²⁸

შედეგები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიერ მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ მეორე მონიტორინგის პერიოდში პუნქტუალურობის საკითხი პირველ მონიტორინგთან შედარებით გაუმჯობესდა.

მეორე მონიტორინგის პერიოდში თბილისში დაკვირვებულ სხდომათა დაახლოებით ორი მესამედი (147-დან 99) დაიწყო დროულად. პირველი მონიტორინგის პერიოდში დროულად მათი მხოლოდ ერთი მესამედი იწყებოდა. ბათუმსა და ხელვაჩაურში სხდომების თითქმის 55% (112-დან 61) დაიწყო დანიშნულ დროს. პირველი მონიტორინგის პერიოდში დაყოვნების გარეშე მათი მხოლოდ 30% იწყებოდა. გორსა და თელავში სხდომების 50%-ზე მეტი (23-დან 12) დაიწყო თავის დროზე.²⁹

თბილისში სხდომების მხოლოდ 14% (147-დან 20) დაიწყო 10 წუთზე მეტი დაგვიანებით. აღსანიშნავია, რომ პირველი მონიტორინგის პერიოდში 10 წუთზე მეტი დაგვიანებით მათი თითქმის 40% იწყებოდა. მონიტორინგის პერიოდში ბათუმსა და ხელვაჩაურში სხდომების თითქმის 37% (112-დან 41) დაიწყო 10 წუთზე მეტი დაგვიანებით. ამ შემთხვევაში აშკარაა გაუმჯობესება პირველ მონიტორინგთან შედარებით, ვინაიდან იმ პერიოდში 10 წუთზე მეტი დაგვიანებით სხდომათა თითქმის 67% დაიწყო. გორსა და თელავში სხდომების 35–37% (23-დან 8) დაიწყო 10 წუთზე მეტი დაგვიანებით.³⁰

თბილისში მოსამართლეები დაგვიანების მიზეზებს იმ საქმეების მხოლოდ 30%-ში განმარტავდნენ, რომელთა სხდომებიც 10 წუთზე მეტი დაგვიანებით იწყებოდა. პირველი მონიტორინგის პერიოდში ეს მაჩვენებელი 26% იყო. ჩვენმა დამკვირვებლებმა დაგვიანების მიზეზების დადგენა თბილისში დაგვიანებით დაწყებული სხდომების 50%-ში შეძლეს.

²⁷ ადმინისტრაციული სასამართლოების მონიტორინგის სახელმძღვანელო, ფოლკე ბერნადოტეს აკადემიის და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ერთობლივი ინიციატივა, სამუშაო ვერსია, გვ. 80.

²⁸ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 23.07.1999, №2352-რს, მუხლი 1 (2); საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, №1106, მუხლი 59 (3).

²⁹ იხილეთ დანართი 3, ცხრილი 3.1.

³⁰ იხილეთ დანართი 3, ცხრილი 3.2.

სხდომების 30%-ში დაგვიანების მიზეზი წინა სხდომის დაგეგმილზე გვიან დასრულება იყო, სხდომების 15%-ში კი – მხარეთა დაგვიანება. დანარჩენ შემთხვევებში 10 წუთზე მეტი დაგვიანების მიზეზები ვერ დადგინდა.³¹

ბათუმსა და ხელვაჩაურში დაგვიანების მიზეზებს მოსამართლეები იმ სხდომების მხოლოდ 10%-ში განმარტავდნენ, რომლებიც 10 წუთზე მეტი დაგვიანებით იწყებოდა. დამკვირვებლებმა დაგვიანების მიზეზების დადგენა სხდომების მხოლოდ 15%-ში შეძლეს. საქმეთა 10%-ში სხდომები დაგვიანებით იმიტომ იწყებოდა, რომ წინა სხდომა გრძელდებოდა დიდხანს, სხდომების 5%-ში კი მხარეები აგვიანებდნენ.³²

გორსა და თელავში მოსამართლეებმა დაგვიანების მიზეზები 10 წუთზე მეტი დაგვიანებით დაწყებული 8 სხდომიდან არც ერთზე არ განმარტეს. დაგვიანების მიზეზების შესახებ ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ ხელმისაწვდომი არ იყო.³³

დაგვიანების ხანგრძლივობა სასამართლოებში განსხვავდებოდა. მონიტორინგის პერიოდში თბილისში საშუალო დაგვიანება მხოლოდ 4-5 წუთს შეადგენდა, რაც პირველ მონიტორინგთან შედარებით, როდესაც საშუალო დაგვიანება 7-8 წუთს შეადგენდა, გაუმჯობესება იყო. ბათუმსა და ხელვაჩაურში საშუალო დაგვიანება 11-12 წუთს შეადგენდა, რაც პირველ მონიტორინგთან შედარებით, როდესაც საშუალო დაგვიანება 21-22 წუთს შეადგენდა, ასევე გაუმჯობესება იყო. გორსა და თელავში საშუალო დაგვიანება 4-5 წუთს შეადგენდა, რაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებულ სხვა სასამართლოებთან შედარებით ყველაზე მცირე დაგვიანება იყო.³⁴

თბილისში პირველი მონიტორინგის პერიოდში მაქსიმალური დაგვიანება 105 წუთი იყო, ხოლო მეორე მონიტორინგის პერიოდში – 95 წუთი. ბათუმში პირველი მონიტორინგის პერიოდში მაქსიმალური დაგვიანება 108 წუთს შეადგენდა, მეორე მონიტორინგის პერიოდში კი – 95 წუთს. ხელვაჩაურში მაქსიმალური დაგვიანება შესაბამისად 15 და 10 წუთი იყო. გორში მაქსიმალური დაგვიანება 40 წუთს შეადგენდა, ხოლო თელავში – 35 წუთს.³⁵

რაც შეეხება პროცესის ხანგრძლივობას, თბილისში მოსამართლეს გადაწყვეტილების მისაღებად დაახლოებით 8 დღე სჭირდებოდა, ბათუმსა და ხელვაჩაურში – საშუალოდ 23 დღე, გორსა და თელავში კი – მხოლოდ 3 დღე, რაც სხვა დაკვირვებულ სასამართლოებთან შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.³⁶

³¹ იხილეთ დანართი 3, ცხრილები 3.4 და 3.5.

³² იქვე.

³³ იქვე.

³⁴ იხილეთ დანართი 3, ცხრილი 3.3.

³⁵ იქვე.

³⁶ იხილეთ დანართი 3, ცხრილი 3.6. პირველი სხდომა ითვლება ათვლის წერტილად.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები მიუთითებს, რომ სასამართლოები ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილებას ზოგადად გონივრულ ვადაში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით იღებენ. თუმცა სასამართლოს ხუთ თვეზე მეტი დასჭირდა იმისთვის, რომ მიეღო გადაწყვეტილება საქმეზე „ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ“.³⁷ ამ საქმეზე პირველი სხდომა 2011 წლის 30 ნოემბერს შედგა. მოსამზადებელი სხდომა ორჯერ გაიმართა, გადაწყვეტილების გამოცხადება კი სამჯერ გადაიდო. აქედან ერთ შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა შეკითხვების ეტაპზე დაბრუნდა. მოსამართლის განმარტებით, მიზანი მხარეებისათვის დამატებითი შეკითხვების დასმა და საქმის არსის უკეთ შესწავლა იყო. ამის შემდეგ მოსამართლემ სამი კითხვა დასვა, თუმცა ვერ შეძლო საქმისთვის მნიშვნელოვანი რაიმე ახალი ფაქტის დადგენა. ეს იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებული ერთადერთი საქმე, რომელიც გადაწყვეტილების გამოცხადების ეტაპიდან დაბრუნდა საქმის განხილვის ადრეულ ეტაპზე, რომელზედაც შესაძლებელი იყო ახალი ფაქტებისა თუ მტკიცებულებების აღმოჩენა და გამოკვლევა.

არსებობს ორი ძირითადი მიზეზი. ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ საქმეზე სხდომები უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა და უსაფუძვლოდ გადაიდო. პირველი, მოსამართლემ ხუთი თვის განმავლობაში მხოლოდ სამი კითხვა დასვა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსამართლისთვის ეს საქმე დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მეორე, 2012 წლის თებერვალში საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრმა (გ. ხაჩიძემ) საჯაროდ განაცხადა, რომ სანადირო პერიოდი 1 მარტისთვის დასრულდებოდა; ამიტომ მხოლოდ ცოტა ხნით მოცდა იყო საჭირო.³⁸ თუ ბრძანებას 1 მარტის შემდეგ ცნობდნენ ძალადაკარგულად, ის მნიშვნელობას დაკარგავდა, ვინაიდან სანადირო პერიოდი უკვე დასრულებული იქნებოდა.

საქმეში „ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ“ ნიშანდობლივი იყო ასევე პუნქტუალურობის საკითხი. სხდომები დანიშნულ დროზე მნიშვნელოვანი დაგვიანებით – 52, 30 და 60 წუთით გვიან – იწყებოდა.

სხვა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეში, რომელიც ბიძინა ივანიშვილისთვის ჯარიმის (162 მილიონი ლარის) დაკისრებას ეხებოდა, თბილისში მოსამართლემ დააგვიანა სხდომის დაწყება, რათა დაედგინა, ჩაჰბარდა თუ არა სასამართლოში დაბარების შესახებ უწყება სახელმწიფო მხარის წარმომადგენელს, რომელიც სხდომას არ ესწრებოდა. ამის დადასტურების შემდეგ მოსამართლემ სხდომა გახსნილად მანამდე არ გამოაცხადა, სანამ სახელმწიფო მხარის წარმომადგენელი არ გამოცხადდა სასამართლო დარბაზში. დაგვიანება საერთო ჯამში 55 წუთს შეადგენდა.³⁹ ეს იყო გამონაკლისი თბილისის საერთო სტატისტიკიდან, სადაც საშუალო დაგვიანება 9 წუთს შეადგენდა.

³⁷ იხილეთ „ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ“.

³⁸ <http://www.youtube.com/watch?v=1YgpLG0tXiw>. ვიდეო გამოქვეყნდა 2012 წლის 6 თებერვალს. გადამოწმებულია 06/12/2012.

³⁹ იხილეთ „კონტროლის პალატა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ“.

რეკომენდაციები


მიუხედავად იმისა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ განხორციელებული მონიტორინგი რუტინულ საქმეებში პუნქტუალობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემების არარსებობაზე მიუთითებს, ზოგიერთ მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეში პუნქტუალობა ხშირად უგულებელყოფილი იყო. ჩვენი აზრით, სასამართლოს ყველა საქმის მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა უნდა ჰქონდეს და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეთა სხდომების დაწყება გაუმართლებლად არ უნდა დაგვიანდეს. დავის ერთ-ერთი მხარის სხდომაზე დაგვიანებამ მნიშვნელოვნად არ უნდა შეაყოვნოს სხდომის გახსნა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებმა განმარტონ სხდომის დაგვიანებით დაწყების მიზეზები, განსაკუთრებით, თუ დაგვიანება 10 წუთზე მეტს შეადგენს. ეს გაზრდიდა სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას სხდომაზე დამსწრე დაინტერესებულ პირთა თვალში.

მნიშვნელოვანი საკითხია საქმის განხილვის გონივრული ვადის დაცვა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოავლინა, რომ სასამართლოები ძირითადად იცავდნენ აღნიშნულ პრინციპს; გამონაკლისი იყო გახმაურებული საქმეები. გადაშენების პირას მყოფ ცხოველებთან დაკავშირებული დავის მაგალითზე ცხადია, რომ საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევამ შესაძლოა აზრი დაუკარგოს დავას და მის შედეგებს. გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც საქმე გადაწყვეტილების მიღების ეტაპიდან ადრეულ ეტაპზე ბრუნდება, კარგად უნდა იყოს დასაბუთებული და ასეთ შემთხვევებში მოსამართლემ საქმის გადადების მიზეზები ნათლად უნდა განმარტოს.


გრაფიკი 5. საშუალო დაგვიანება. თბილისი

- სასამართლო მონიტორინგის პერიოდი №1
- სასამართლო მონიტორინგის პერიოდი №2




გრაფიკი 6. საშუალო დაგვიანება. ბათუმი და ხელვაჩაური

- სასამართლო მონიტორინგის პერიოდი №1
- სასამართლო მონიტორინგის პერიოდი №2




გრაფიკი 7. საშუალო დაგვიანება. გორი და თელავი

- სასამართლო მონიტორინგის პერიოდი №1
- სასამართლო მონიტორინგის პერიოდი №2




გრაფიკი 8. დანიშნულ დროს/ დროზე გვიან დაწყებული სხდომები თბილისი

- დანიშნულ დროს დაწყებული სხდომები
- დანიშნულ დროზე გვიან დაწყებული სხდომები




გრაფიკი 9. დანიშნულ დროს/ დროზე გვიან დაწყებული სხდომები ბათუმი და ხელვაჩაური

- დანიშნულ დროს დაწყებული სხდომები
- დანიშნულ დროზე გვიან დაწყებული სხდომები



გრაფიკი 10. დანიშნულ დროს/ დროზე გვიან დაწყებული სხდომები გორი და თელავი

- დანიშნულ დროს დაწყებული სხდომები
- დანიშნულ დროზე გვიან დაწყებული სხდომები



საქმის საჯაროდ განხილვის უფლება

საქმის საჯაროდ განხილვის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, რომლის თანახმადაც, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე.⁴⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი ასევე აღიარებს ამ უფლებას, როცა აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომები, კანონის შესაბამისად, ღიაა, თუ მოსამართლე სხვაგვარად არ გადაწყვეტს.⁴¹ ეს უფლება ასევე გარანტირებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით (მუხლი 6), რომლის თანახმადაც, „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“.⁴² ამ კონვენციის მე-6 მუხლი თავდაპირველად არ ვრცელდებოდა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე⁴³, თუმცა საქმეებში *Ringeisen v. Austria* და *König v. Germany* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ის ვრცელდება „ყველა პროცესზე“, მათ შორის, კერძო და საჯარო პირებს შორის დავაზე, რომლის დროსაც გამოიყენებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობა.⁴⁴ ამასთანავე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (მუხლი 14 (1)) ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ მოქალაქეები საქმეთა სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებით, საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების გასაზღვრისას.⁴⁵ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო მექანიზმია ეუთოს წევრი ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულება, „უზრუნველყონ დამკვირვებლების დასწრება... სასამართლო პროცესებზე“.⁴⁶

იმისთვის, რომ გარანტირებულ იქნეს საქმის საჯაროდ განხილვის უფლება, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთა სხდომებზე თავისუფალი დასწრება, ასევე მათი წინასწარი ინფორმირებულობა ყოველი სხდომის თარიღისა და დაწყების დროის შესახებ. ამავე დროს, სხდომაზე დასწრებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში სასამართლომ ან ტრიბუნალმა ნათლად უნდა განმარტოს ამის მიზეზი.⁴⁷ თუ არ არსებობს სხდომაზე თავისუფალი დასწრების შეზღუდვის საფუძველი, ადმინისტრაციულმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოება შესაბამისი პირობებით, რათა მან შეძლოს თავისუფლად დასწრება იმ სხდომებზე, რომლებითაც დაინტერესებულია.⁴⁸

⁴⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.

⁴¹ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 13.

⁴² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04/11/1950, მუხლი 6.

⁴³ ადმინისტრაციული სასამართლოების მონიტორინგის სახელმძღვანელო, გვ. 40.

⁴⁴ *Ringeisen v. Austria*, 1971, ECHR, პარ. 94; *König v. Germany*, 1978, ECHR, პარ. 89-90.

⁴⁵ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ხელმოწერილია 16/12/1966, ძალაშია 23/03/1967.

⁴⁶ [ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტი](#), პარ. 12.

⁴⁷ ადმინისტრაციული სასამართლოების მონიტორინგის სახელმძღვანელო, გვ. 44.

⁴⁸ იქვე. გვ. 67; *Van Meurs v. The Netherlands*, HRC კომუნიკაცია 215/1986, UN Doc CCPR/C/39/D/215/1986 (1990), პარ. 6.2.

დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ნათლად გაიგოს დავის შინაარსი, კერძოდ, ესმოდეს პროცესში მონაწილე ყველა პირის მათ შორის მხარეების, მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების, თარჯიმნების, მოსამართლეებისა და სხდომის მდივნების მიერ გაკეთებული განცხადებები ან/და კომენტარები. ამდენად, იმისთვის, რომ პროცესზე დამსწრე რიგითმა მოქალაქემ შეძლოს აღნიშნული პირების მიერ პროცესზე გაკეთებული განცხადებების გაგება, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს როგორც საკუთარი, ისე სასამართლო დარბაზში სიტყვით გამომსვლელ სხვა პირთა მიერ გაკეთებული განცხადებების საკმარისად ხმამაღალი და მკაფიო სმენადობა.

შედეგები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სასამართლო მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ საქართველოში ზოგადად ადმინისტრაციული საქმეების განხილვაზე დასწრება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. მაგალითად, ჩვენს დამკვირვებლებს სასამართლო დარბაზის მოძებნაში ხშირად ეხმარებოდნენ მანდატურები და სხდომის მდივნები; გარდა ამისა, სხდომების დროს მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, თავისუფლად გაეკეთებინათ ჩანაწერები. მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა შემთხვევები, რომლებიც შეიძლება საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის საჯაროდ განხილვის უფლების დარღვევად იქნეს მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა საქმის საჯაროდ განხილვის უფლებასთან დაკავშირებული საყურადღებო ცვლილება. კერძოდ, 2012 წლის 19 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით სასამართლო პროცესზე დამსწრე პირებს აკრძალათ სხდომათა დარბაზში ელექტრონული მოწყობილობების შეტანა.⁴⁹ ამის განცხადებული მიზანი იყო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ პირობის დაცვის უზრუნველყოფა, რომელიც მოსამართლის თანხმობის გარეშე კრძალავს სხდომის აუდიო- და ვიდეოჩაწერას.⁵⁰ მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება კრძალავდა ელექტრონული მოწყობილობების სასამართლო დარბაზში შეტანას, სასამართლოს პერსონალმა მათი დერეფნებში შეტანაც შეზღუდა, რითაც ზედმეტად მკაცრი შეზღუდვები წესდებოდა. პრაქტიკაში მანდატურებს გარკვეული დრო სჭირდებოდათ, რათა შეემოწმებინათ მოქალაქე და ჩამოერთვათ ელექტრონული მოწყობილობები. ამან რამდენიმე შემთხვევაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დამკვირვებლებს მოუსპო შესაძლებლობა, დროულად შესულიყვნენ პროცესზე.⁵¹ სხვა საკითხი იყო იმ მოწყობილობების უსაფრთხოება, რომლებიც მათი მესაკუთრის სხდომაზე ყოფნის პერიოდში სასამართლოს თანამშრომლებთან ინახებოდა; ზოგ შემთხვევაში ამ მოწყობილობებს სასამართლოს თანამშრომლები იყენებდნენ. გარდა იმისა, რომ ბრძანება ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს აწესებდა, ვფიქრობთ, რომ, მისი მიზნიდან გამომდინარე, ჩამწერი მოწყობილობების სასამართლო დარბაზს მიღმა გამოყენების შეზღუდვა გაუმართლებელი იყო.

⁴⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესრელიზი: <http://tcc.gov.ge/index.php?m=556&newsid=433>, გადამოწმებულია 06/12/2012.

⁵⁰ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 04/12/2009, №2257-III, მუხლი 13 (4).

⁵¹ ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასამართლოში დაგვიანებული დამსწრე პირები არ დაიშვებიან.

საქმეთა განხილვის საქვეყნობის კიდევ ერთი მაჩვენებელია სხდომების სასამართლოს ოფიციალურ განრიგში გამოქვეყნება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებმა გამოავლინეს, რომ თბილისში სხდომების 16% (147-დან 24) ოფიციალურ განრიგში არ გამოქვეყნებულა. მაგალითად, თბილისში ოფიციალურ ვებგვერდზე სხდომების განრიგი არ მოიპოვებოდა 2012 წლის 10 სექტემბრიდან 14 სექტემბრამდე და 2012 წლის 17 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე. ბათუმსა და ხელვაჩაურში სხდომების 18.8% (112-დან 21) არ გამოქვეყნებულა. შედარებით უკეთესი მაჩვენებელი დაფიქსირდა გორსა და თელავში, სადაც სხდომების მხოლოდ 4.3% (23-დან 1) არ გამოქვეყნებულა.

ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 22 საქმე თბილისში და 1 ხელვაჩაურში განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. ჩვენმა დამკვირვებლებმა ვერ შეძლეს, მიეღოთ ინფორმაცია გადადებული საქმეების განხილვის თარიღსა და დროზე, რადგან სხდომის მდივნებმა უარი განაცხადეს ამ ინფორმაციის მიწოდებაზე. ეს მნიშვნელოვნად არღვევს საქმის საჯაროდ განხილვის უფლებას.⁵²

მეორე მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა კიდევ ერთი პრობლემა, კერძოდ, ის, რომ ხშირად აუდიოჩამწერი მოწყობილობა არ იყო ჩართული მთელი პროცესის განმავლობაში. მაგალითად, თბილისში დაკვირვებულ საქმეთა 30%-ზე მეტში (88-დან 27-ში) სხდომის მსვლელობისას მოსამართლე სხდომის მდივანს უთითებდა – ხშირად არავერბალური გზით – შეჩერებინა აუდიოჩამწერა. გორსა და თელავში ეს პრობლემა საქმეთა 68%-ზე მეტში (19-დან 13-ში) დაფიქსირდა, ბათუმსა და ხელვაჩაურში კი – დაკვირვებული სხდომების მხოლოდ 3%-ში (35-დან 1-ში).⁵³ მიუხედავად იმისა, რომ არა გვაქვს სტატისტიკური მონაცემები აუდიოჩამწერის შეჩერების მიზეზების თაობაზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებელთა მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მოსამართლეს ჰქონოდა შესაძლებლობა, არაფორმალურად გასაუბრებოდა მხარეებს.⁵⁴ გარდა ამისა, ყველა სასამართლოს მოსამართლეები, თელავის გარდა, ხშირად აჩერებდნენ აუდიოჩამწერას განჩინებების გამოცხადებისას.

სასამართლოები ხშირად არ აქვეყნებდნენ განრიგში დავის საგანს ან/და შესაბამის მუხლს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იდგა თბილისში, სადაც აღნიშნული ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებულ არცერთ საქმეზე არ გამოქვეყნებულა. სხვა სასამართლოებში ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო და დაკვირვებულ საქმეთა უმეტესობაში ოფიციალურ განრიგებში ქვეყნდებოდა დავის საგანი შესაბამისი მუხლის მითითებით. ბათუმსა და ხელვაჩაურში აღნიშნული ინფორმაცია დაკვირვებულ საქმეთა 91%-ზე გამოქვეყნდა, გორსა და თელავში კი – საქმეთა თითქმის 74%-ზე.⁵⁵

მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები

სასამართლო სხდომების საჯაროობის მხრივ ძირითადი პრობლემა ის იყო, რომ თბილისში არ ქვეყნდებოდა ინფორმაცია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხდომების თარიღისა

⁵² იხილეთ დანართი 1, ცხრილი 1.2.

⁵³ იხილეთ დანართი 4, ცხრილი 4.5.

⁵⁴ ხშირად კომუნიკაცია საქმის შესაძლო მორიგებით დასრულებას უკავშირდებოდა და რაიმე დარღვევები არ შეიმჩნეოდა.

⁵⁵ იხილეთ დანართი 4, ცხრილი 4.2.

და დროის შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს. ეს ძირითადად იმ საქმეებს ეხებოდა, რომლებზედაც ოპოზიციის ლიდერები ან მათი კომპანიები პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ უკანონო შემოწირულებების განხორციელებისათვის დაჯარიმდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 13 საქმის 14 ასეთ სხდომას დააკვირდა.⁵⁶

გარდა ამისა, მაღალი საჯარო ინტერესის მქონე პოლიტიკურ საქმეთა სხდომები ძირითადად მცირე ზომის დარბაზებში იმართებოდა, რაც ართულებდა მრავალი დაინტერესებული მოქალაქის დასწრებას. მაგალითად, ორი მაღალი საჯარო ინტერესის მქონე სხდომა – მათ შორის, საქმეზე „კონტროლის პალატა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ“ – საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესის მიუხედავად, გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ყველაზე პატარა სასამართლო დარბაზში, რომელიც მხოლოდ 6 ადამიანს იტევდა. ამის შედეგად ადამიანების დიდ ჯგუფს მოუწია სასამართლო დარბაზს მიღმა მოცდა, მათ შორის, აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებს. მას შემდეგ, რაც ამის შესახებ ცნობილი გახდა, მოსამართლემ მანდატურებს სასამართლო დარბაზში ორი დამატებითი სკამი მოატანინა, რათა აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი და მისი თარჯიმანი დაესხათ. მიუხედავად ამისა, სხვა პირები, მათ შორის, მედიის წარმომადგენლები, მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, დასწრებოდნენ სხდომას. კიდევ ოთხი მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმის ექვსი სხდომა გაიმართა ასევე მცირე ზომის სასამართლო დარბაზში, რომელიც მხოლოდ 12 ადამიანს იტევდა.

რეკომენდაციები

სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ყველა დანიშნული სხდომის სათანადოდ გამოქვეყნება. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხდომების თარიღისა და დროის გამოქვეყნება. ამასთანავე, ასეთი სხდომების საჯაროობა არ უნდა შეიზღუდოს მცირე ზომის დარბაზებით; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მაღალი საჯარო ინტერესის მქონე სხდომებზე სასამართლო დარბაზის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნეს დარბაზში დაინტერესებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობის დატევის მიზანი.

იმ შემთხვევებში, როდესაც სხდომა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო, სასამართლოს პერსონალმა უნდა უზრუნველყოს სხდომის თარიღისა და დროის დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა კანონით გათვალისწინებული არ არის, დავის საგნის შესაბამისი მუხლის მითითებით გამოქვეყნება (როგორც ეს სისხლის სამართლის საქმეებზე ხდება) დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემდა, სასამართლო დარბაზში შესვლამდე გაეგო, ზოგადად რა საკითხს შეეხებოდა სხდომა. აღნიშნული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება გაზრდიდა საჯაროობას და ხელს შეუწყობდა დაინტერესებული პირის მიერ საქმის საჯაროდ განხილვის უფლებით სარგებლობას. თბილისის საქალაქო სასამართლომ


⁵⁶ მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების თავში განხილულ საქმეებთან ერთად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ სხვა გახმაურებულ საქმეებსაც დააკვირდა. იმის გამო, რომ ისინი განრიგში არ გამოქვეყნებულა, ისე, როგორც მითითებულია მონიტორინგის მეთოდოლოგიის თავში, ეს საქმეები არ აისახა საერთო სტატისტიკაში.

ვერ უზრუნველყო დავის საგნის შესაბამისი მუხლის მითითებით გამოქვეყნება. სასამართლოს წარმომადგენლების განცხადებით, ეს ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელი იქნებოდა; თუმცა ეს შესაძლებელი იყო ბათუმში, ხელვაჩაურში, გორსა და თელავში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ხარვეზები სხდომების აუდიოჩაწერის დროს. მოსამართლეები არ უნდა აძლევდნენ სხდომის მდივნებს ამგვარ მითითებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სრული სხდომის ოქმის შედგენა.


გრაფიკი 11. სხდომათა გამოქვეყნება ოფიციალურ განრიგში. თბილისი

■ გამოქვეყნებული სხდომები
□ გამოუქვეყნებელი სხდომები




გრაფიკი 12. სხდომათა გამოქვეყნება ოფიციალურ განრიგში. ბათუმი და ხელვაჩაური

■ გამოქვეყნებული სხდომები
□ გამოუქვეყნებელი სხდომები




გრაფიკი 13. სხდომათა გამოქვეყნება ოფიციალურ განრიგში. გორი და თელავი

■ გამოქვეყნებული სხდომები
□ გამოუქვეყნებელი სხდომები




გრაფიკი 14. დავის მუხლის გამოქვეყნება. თბილისი

■ გამოქვეყნებული სხდომები
□ გამოუქვეყნებელი სხდომები




გრაფიკი 15. დავის მუხლის გამოქვეყნება. ბათუმი და ხელვაჩაური

■ გამოქვეყნებული სხდომები
□ გამოუქვეყნებელი სხდომები



გრაფიკი 16. დავის მუხლის გამოქვეყნება. გორი და თელავი

■ გამოქვეყნებული სხდომები
□ გამოუქვეყნებელი სხდომები



მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი

ზოგადი პრინციპების თანახმად, რომლებიც მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვას შეეხება, მოსამართლე ვალდებულია დაიცვას საპროცესო ვადები, საქმის განხილვის ყველა ეტაპი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული თანამიმდევრობით გაიაროს, გამოიკვლიოს საქმის ყველა ასპექტი და გამოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინოს სიმართლე. მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვას სარჩელის წარდგენის მომენტიდან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.⁵⁷

ზემოაღნიშნულ ზოგად პრინციპებთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები ადგენენ კონკრეტულ საპროცესო ნორმებს, რომლებიც მოსამართლემ ადმინისტრაციული საქმის განხილვისას უნდა დაიცვას. მაგალითად, მოსამართლემ უნდა გამოაცხადოს განსახილველი საქმე და სასამართლო შემადგენლობა, სხდომაზე დამსწრე პირები გააფრთხილოს წესრიგის დარღვევის შემთხვევაში შესაძლო შედეგების შესახებ და მხარეებს გააცნოს მათი უფლებები, მათ შორის, მოსამართლის აცილებისა და საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებისას მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე და კანონის შესაბამის მუხლებზე, რომლებსაც ის დაეყრდნო, და განმარტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი⁵⁸. მოსამართლე, რომელიც ადმინისტრაციულ საქმეს იხილავს, ასევე ვალდებულია შეასწოროს ფორმალური შეცდომები და სხდომის მიმდინარეობისას მხარეებს განუმარტოს ყველა მნიშვნელოვანი პროცედურა.⁵⁹

მოსამართლემ განუხრელად უნდა დაიცვას კანონით დადგენილი პროცედურები და მხარეთა თანხმობის გარეშე არ უნდა გამოტოვოს საქმის განხილვის არცერთი ეტაპი. მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა სასამართლო დარბაზში, რათა დავის ყველა მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისუფლად წარადგინოს მტკიცებულებები, დაიცვას თავისი პოზიციები, მოისმინოს მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტები, მხარეებმა შეძლონ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა და განცხადებების გაკეთება ყოველგვარი შეფერხებისა და დაბრკოლების გარეშე.

ამ წესების სათანადო შესრულება ადმინისტრაციული სამართალწარმოების მარეგულირებელი როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული პრინციპების ჯეროვნად განხორციელების გარანტიებს ქმნის. სხდომების სათანადოდ წარმართვა იმის გარანტიასაც იძლევა, რომ მხარეებს მიეცემა შესაძლებლობა, ისარგებლონ შესაბამისი საპროცესო უფლებებით, მათ შორის, ახსნა-განმარტების, არგუმენტებისა და მტკიცებულებების წარდგენის, მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაცნობის, მოწმეებისა და ერთმანეთისთვის კითხვების დასმის უფლებებით.

⁵⁷ მ. კოპალეიშვილი, გვ. 28.

⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 210, 211, 214, 217, 218 და 257.

⁵⁹ მ. კოპალეიშვილი, გვ. 28.

როგორც წესი, საქმე მთავარ სხდომაზე მხოლოდ მას შემდეგ იხილება, რაც მოსამზადებელ ან/და განმწესრიგებელ სხდომას გაივლის.⁶⁰ ამიტომ მიიჩნევა, რომ მთავარი სხდომა საქმეზე გამართული პირველი სხდომა არ არის და მხარეები იცნობენ თავიანთ უფლებებს, მათი ვინაობა გადამოწმებულია, მორიგების მიღწევა მათ უკვე შესთავაზეს და სხვა. ამიტომ მონიტორინგის შედეგების გაცნობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საპროცესო კანონმდებლობის დაცვას მოსამზადებელ ან/და განმწესრიგებელ სხდომაზე. მიუხედავად ამისა, მოსამართლე ვალდებულია მთავარი სხდომის გახსნისას დაიცვას საპროცესო მოთხოვნები.⁶¹

შედეგები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოავლინა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას მოსამართლეები ზოგიერთ საპროცესო მოთხოვნას სათანადოდ იცავდნენ. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევებში ეს პრაქტიკა თანამიმდევრული არ ყოფილა და შესაბამისი საპროცესო მოთხოვნები ყოველთვის სრულად არ იყო დაცული.

მოსამართლეები რეგულარულად იცავდნენ შემდეგ საპროცესო მოთხოვნებს:

- ამოწმებდნენ სხდომაზე დამსწრე მხარეთა ვინაობას; ასევე მოწმედბოდა წარმომადგენლების მინდობილობა და მათი ვინაობა;⁶²
- აცხადებდნენ, რომელი საქმე იხილებოდა;⁶³
- აცხადებდნენ სასამართლო შემადგენლობას;⁶⁴
- სხდომაზე დამსწრე პირებს აფრთხილებდნენ წესრიგის დარღვევის შემთხვევაში შესაძლო შედეგების შესახებ;⁶⁵ და
- მხარეებს აცნობდნენ მოსამართლის აცილების და შუამდგომლობების დაყენების უფლებას.⁶⁶

ამასთანავე, საქმეთა უმეტესობაში მოსამართლე მხარეებთან კონსულტაციის გარეშე არ ტოვებდა სხდომის არცერთ ეტაპს, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსამართლეები ყველა ეტაპს გადიოდნენ ან მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ტოვებდნენ გარკვეულ ეტაპებს. ეს პრინციპი დაცული იყო თბილისში განხილულ საქმეთა 95.5%-ში (88-დან 84-ში), ბათუმსა და ხელვაჩაურში განხილულ საქმეთა 88.6%-ში (35-დან 31-ში), გორსა და თელავში კი – ყველა (19) საქმეში.⁶⁷

ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას მოსამართლე მომდევნო ეტაპზე გადასვლის შესახებ თბილისში განხილულ საქმეთა 94.3%-ში (88-დან 83-ში), ბათუმსა და ხელვაჩაურში განხილულ საქმეთა 88.6%-ში (35-დან 31-ში), გორსა და თელავში კი – ყველა (19) საქმეში აცხადებდა.⁶⁸

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.

⁶¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 203, 205, 207 და 210.

⁶² იხილეთ დანართი 5, ცხრილები 5.1 და 5.2.

⁶³ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.3.

⁶⁴ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.4.

⁶⁵ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.6.

⁶⁶ იხილეთ დანართი 5, ცხრილები 5.7 და 5.8.

⁶⁷ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.18.

⁶⁸ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.19.

წესრიგის დაცვის პრობლემა ყველაზე მწვავედ ბათუმსა და ხელვაჩაურში იდგა. აღნიშნულ სასამართლოებში მოსამართლეები წესრიგს დაკვირვებულ საქმეთა 22.9%-ში ვერ ინარჩუნებდნენ. შედარებისთვის, თბილისში ეს მაჩვენებელი 4.5% იყო. გორსა და თელავში მოსამართლეებმა წესრიგის შენარჩუნება ყველა (19) დაკვირვებულ საქმეში მოახერხეს.⁶⁹

მხარეების ან/და დამსწრეების მიერ სხდომების განმავლობაში სასამართლო დარბაზში შესვლა და მისი დატოვება სხდომაზე წესრიგის შენარჩუნებას უკავშირდება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ აღნიშნული შემთხვევები თბილისში დაკვირვებულ საქმეთა 9.1%-ში და ბათუმსა და ხელვაჩაურში დაკვირვებულ საქმეთა 11.4%-ში გამოავლინა, გორსა და თელავში კი ასეთი რამ არ დაფიქსირებულა.⁷⁰

პრობლემა იყო ისიც, რომ მოსამართლეები სხდომის გახსნისას არ უზრუნველყოფნენ საქმის შინაარსის მოკლედ აღწერას. მაგალითად, თბილისში დაკვირვებულ სხდომათა თითქმის ნახევარში, როგორც მოსამზადებელ, ისე მთავარ სხდომებზე, მოსამართლეებმა არ უზრუნველყვეს საქმის შინაარსის მოკლედ აღწერა. ბათუმში ეს პრობლემა საქმეთა დაახლოებით ორ მესამედში დაფიქსირდა, გორსა და თელავში კი – საქმეთა თითქმის 70%-ში.⁷¹

აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგის პირველ ანგარიშში აისახა შემთხვევები, როდესაც მოსამართლეებმა არ გააცნეს დავის მხარეებს მათი უფლებები. თბილისში, ბათუმსა და ხელვაჩაურში სასამართლო დარბაზებში, მხარეების მაგიდეებზე განათავსეს სპეციალური ბარათები, რომლებშიც ჩამოთვლილია ყველა უფლება; ამდენად, მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სხდომის დაწყებამდე გასცნობოდნენ საკუთარ უფლებებს. ასეთი ბარათები არ ყოფილა გორსა და თელავში, თუმცა მხარეებს მათ უფლებებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებულ ყველა სხდომაზე ზეპირად აცნობდნენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ასევე აკვირდებოდა მხარეთათვის მათი უფლებების განმარტების საკითხს. თბილისში მხარეებს უფლებები მოსამზადებელ სხდომაზე საქმეთა მხოლოდ 13.3%-ში და მთავარი სხდომის გახსნისას საქმეთა მხოლოდ 7.5%-ში განემარტათ. ბათუმსა და ხელვაჩაურში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო: მხარეებს უფლებები მოსამზადებელი სხდომების 42.9%-ში და მთავარი სხდომების 35.3%-ში განემარტათ. გორსა და თელავში საუკეთესო მაჩვენებელი დაფიქსირდა: მხარეებს საკუთარი უფლებები მოსამზადებელ სხდომაზე საქმეთა 66.7%-ში და მთავარ სხდომაზე საქმეთა 81.3%-ში განემარტათ.⁷²

პირველი მონიტორინგის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ასევე აკვირდებოდა, განემარტათ თუ არა კერძო პირებს, რომლებსაც ადვოკატი არ წარმოადგენდა, თითოეული ეტაპის მნიშვნელობა, თუმცა ამის თაობაზე სტატისტიკური მონაცემები პირველ ანგარიშში არ ყოფილა წარმოდგენილი. მეორე მონიტორინგის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

⁶⁹ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.22.

⁷⁰ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.26.

⁷¹ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.5.

⁷² იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.15.

თბილისში მოსამართლეებმა კერძო მხარეს, რომელსაც არ ჰყავდა წარმომადგენელი, სასამართლო განხილვის ეტაპის მნიშვნელობა დაკვირვებულ საქმეთა მხოლოდ 27.3%-ში განუმარტეს. გორსა და თელავში განმარტებები ამგვარ საქმეთა 54.5%-ში გაკეთდა. ბათუმსა და ხელვაჩაურში დაკვირვებულ ყველა საქმეში კერძო პირებს ადვოკატები/წარმომადგენლები ჰყავდათ და, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ დამდგარა.⁷³

განსაკუთრებით უარყოფითი შედეგი დაფიქსირდა მოსამართლეთა მიერ მხარეებისთვის მორიგების შეთავაზების კუთხით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სტატისტიკის მიხედვით, თბილისში მოსამართლეებს მხარეებისთვის მორიგება დაკვირვებული სხდომების თითქმის 67%-ში არ შეუთავაზებიათ. მორიგება არ ყოფილა შეთავაზებული არც მოსამზადებელ და არც მთავარ სხდომებზე. ბათუმსა და ხელვაჩაურში მოსამართლეებს მხარეებისთვის მორიგება მოსამზადებელ სხდომაზე საქმეთა 11.1%-ში და მთავარ სხდომაზე საქმეთა თითქმის 50%-ში არ შეუთავაზებიათ. გორსა და თელავში მორიგება საქმეთა შესაბამისად 50%-სა და 75%-ში არ ყოფილა შეთავაზებული.⁷⁴

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ასევე აკვირდებოდა, განუმარტავდა თუ არა მოსამართლე მხარეებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და სამართლებრივ საფუძვლებს. თბილისში მოსამართლეებს განმარტებები დაკვირვებულ საქმეთა 13.6%-ში არ გაუკეთებიათ. ბათუმსა და ხელვაჩაურში სამართლებრივი საფუძველი საქმეთა 31.4%-ში არ ყოფილა განმარტებული, გორსა და თელავში კი – საქმეთა 47.4%-ში.⁷⁵ თბილისისა და ბათუმის შედეგები თითქმის იდენტურია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ სასამართლო მონიტორინგის პირველ ანგარიშში მოცემული შედეგებისა.

საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებისას მოსამართლეებმა გასაჩივრების პროცედურები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიერ დაკვირვებულ ყველა საქმეში გამოაცხადეს.⁷⁶ თუმცა მოსამართლეები არ აცხადებდნენ მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზედაც მიიღეს გადაწყვეტილებები. თბილისში მოსამართლეებმა მტკიცებულება დაკვირვებულ საქმეთა მხოლოდ 40.9%-ში გამოაცხადეს, ხოლო ბათუმში – საქმეთა მხოლოდ 22.9%-ში. აღნიშნული შედეგები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ სასამართლო მონიტორინგის პირველ ანგარიშში მოცემულ შედეგებთან შედარებით გაუარესებულია. მდგომარეობა ბევრად უკეთესი იყო გორსა და თელავში, სადაც მოსამართლეებმა მტკიცებულება დაკვირვებულ საქმეთა 94.7%-ში გამოაცხადეს.⁷⁷

მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეებს შუამდგომლობების მთავარ სხდომაზე დაყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ დაასაბუთებენ, რომ შუამდგომლობა მოსამზადებელ სხდომაზე საპატიო მიზეზის გამო ვერ წარადგინეს.⁷⁸ „საერთაშორისო

⁷³ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.20.

⁷⁴ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.30.

⁷⁵ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.21.

⁷⁶ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.27.

⁷⁷ იხილეთ დანართი 5, ცხრილი 5.28.

⁷⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 215.

გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებული 142 საქმიდან 3-ში სასამართლოებმა შუამდგომლობები მთავარ სხდომაზე დაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ არ ყოფილა დასაბუთებული, რატომ ვერ მოხერხდა მათი მოსამზადებელ სხდომაზე წარდგენა. სამივე შემთხვევაში შუამდგომლობები სახელმწიფო მხარის მიერ იქნა დაყენებული და შეეხებოდა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებს თბილისში.

საქმეში „ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გამოავლინა მნიშვნელოვანი პრობლემა. აღნიშნული ეხებოდა სხდომის წარმართვის პროცედურას რომლის თანახმადაც: *მხოლოდ დავის მხარეებსა და მათ ადვოკატებს/წარმომადგენლებს აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობებით.*⁷⁹ კერძოდ, დაცვის მხარის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, წარმომადგენლებმა სხდომაზე დააგვიანეს; ამასთანავე, მათ არ ჰქონდათ სამინისტროს მიერ გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. პროცესზე მოსამართლემ გამოაცხადა, რომ სამინისტროს წარმომადგენლები სხდომას მხოლოდ „ფაქტობრივად დაესწრებოდნენ და არა იურიდიულად“⁸⁰, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არ ჰქონდათ სხდომაში მონაწილეობის უფლება. თუმცა, როდესაც იმავე მხარემ დააყენა შუამდგომლობა და წარადგინა სადავო ბრძანების განახლებული ვერსია, მოსამართლემ შუამდგომლობა ისე დაუშვა, რომ საფუძველი არ განუმარტავს. იმავე საქმეში მოსამართლემ მხარეებს საპაექროდ მხოლოდ ორი წუთი განუსაზღვრა, რაც, ჩვენი აზრით, აზრის ჩამოსაყალიბებლად საკმარისი არ იყო. აღსანიშნავია, რომ პაექრობისთვის ასეთი მცირე დრო მოსამართლეს სხვა საქმეებში რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დააკვირდა არ განუსაზღვრავს.

მოსამართლეებმა ასევე შესაბამისი დასაბუთების გარეშე დაუშვეს სახელმწიფო მხარის შუამდგომლობები რამდენიმე სხვა საქმეში, რომლებიც პირების ან კომპანიების მიერ პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ უკანონო შემოწირულობების განხორციელებისთვის დაჯარიმებას ეხებოდა. კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დააკვირდა ორი მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმის სამ სხდომას თბილისში. საქმეები ბიძინა ივანიშვილის დაჯარიმებას ეხებოდა. ამ საქმეებში მოსამართლეებმა სახელმწიფო მხარის წარმომადგენელთა დაგვიანებული შუამდგომლობა დაუშვეს.⁸¹ მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ არაერთხელ მოითხოვა დაგვიანებული შუამდგომლობის დაშვების მიზეზის განმარტება, მოსამართლეს ის არცერთ შემთხვევაში არ განუმარტავს. **მსგავსი შემთხვევა არცერთ სხვა საქმეში არ დაფიქსირებულა.**⁸² როგორც უკვე ითქვა, მოსამზადებელი

⁷⁹ იხილეთ „ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ“.

⁸⁰ ციტატა „თქვენ პროცესს იურიდიულად არ ესწრებით, მხოლოდ ფაქტობრივად“.

⁸¹ იხილეთ „კონტროლის პალატა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ“.

⁸² როგორც შემდგომ, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის თავში, განვიხილავთ, მოსამართლემ დაუშვა შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე, რომლებიც სახელმწიფო მხარემ პაექრობის ეტაპზე წარადგინა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ უზრუნველყო იმის დასაბუთება, თუ რატომ არ დააყენა შუამდგომლობა უფრო ადრინდელ ეტაპზე. სასამართლოს გადაწყვეტილება რადიკალურად განსხვავდებოდა იმ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისაგან, რომელშიც არ დაკმაყოფილდა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე კერძო მხარის შუამდგომლობა, რომელიც მთავარ სხდომამდე იქნა დაყენებული. კერძო მხარემ მთავარ სხდომაზე ვერ უზრუნველყო მოწმეების დაბარება და საქმე წააგო.

სხდომის შემდეგ შუამდგომლობის დაშვებისას მხარემ უნდა დაასაბუთოს, რატომ იყო შეუძლებელი მისი უფრო ადრინდელ ეტაპზე დაყენება.⁸³ მოსამართლეს დაგვიანებით დაყენებული შუამდგომლობის დაშვება მხოლოდ მყარი დასაბუთების არსებობისას შეუძლია.


რეკომენდაციები

მოსამართლეებმა სხდომის გახსნისას უნდა განმარტონ საქმის არსი. ეს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებაა და უზრუნველყოფს სხდომათა საჯაროობის პრინციპის დაცვას, რადგან სხდომაზე დამსწრე პირებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ საქმის შირაარსს და დავის საგანს.


მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოსამართლის მიერ მხარეთათვის საპროცესო უფლებებისა და სხდომის ყველა ეტაპის მნიშვნელობის განმარტებას, ჩვენი აზრით, ეს მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ საკუთარი უფლებებით სარგებლობისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ დავებზე სახელმწიფო არ უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას, უფლებებისა და სხდომის ეტაპების განმარტება იმ კერძო მხარისთვის, რომელსაც ადვოკატი არ წარმოადგენს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და პირდაპირ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული დავების მონაწილე კერძო პირთა მიერ საპროცესო უფლებების სრულ რეალიზაციასთან.

მთავარი სხდომის გახსნის შემდეგ მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დასაბუთების გარეშე დაკმაყოფილება მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპის მნიშვნელოვანი დარღვევაა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამოდენიმე ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, ყველა მათგანს ადგილი ქონდა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე დავებზე. ამ პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, ვინაიდან ის ბაღებს დიდ ეჭვს სასამართლოს მიკერძოებულობაზე.


გრაფიკი 17. აღწერა თუ არა მოსამართლემ მოკლედ საქმის შინაარსი? (მთავარი სხდომის გახსნა) თბილისი



გრაფიკი 18. აღწერა თუ არა მოსამართლემ მოკლედ საქმის შინაარსი? (მთავარი სხდომის გახსნა) ბათუმი და ხელვაჩაური




გრაფიკი 19. აღწერა თუ არა მოსამართლემ მოკლედ საქმის შინაარსი? (მთავარი სხდომის გახსნა) გორი და თელავი



⁸³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 215.


გრაფიკი 20. განუმარტა თუ არა მოსამართლემ მხარეებს მათი უფლებები? (მოსამზადებელი სხდომა) თბილისი

■ კი □ არა




გრაფიკი 21. განუმარტა თუ არა მოსამართლემ მხარეებს მათი უფლებები? (მოსამზადებელი სხდომა) ბათუმი და ხელვაჩაური

■ კი □ არა




გრაფიკი 22. განუმარტა თუ არა მოსამართლემ მხარეებს მათი უფლებები? (მოსამზადებელი სხდომა) გორი და თელავი

■ კი □ არა




გრაფიკი 23. განმარტა თუ არა მოსამართლემ შუამდგომლობაზე მიღებული განჩინება? თბილისი

■ კი □ არა




გრაფიკი 24. განმარტა თუ არა მოსამართლემ შუამდგომლობაზე მიღებული განჩინება? ბათუმი და ხელვაჩაური

■ კი □ არა




გრაფიკი 25. განმარტა თუ არა მოსამართლემ შუამდგომლობაზე მიღებული განჩინება? გორი და თელავი

■ კი □ არა




გრაფიკი 26. განმარტა
თუ არა მოსამართლემ
სხდომის ეტაპების
მნიშვნელობა?
თბილისი

■ კი □ არა




გრაფიკი 27. განმარტა
თუ არა მოსამართლემ
სხდომის ეტაპების
მნიშვნელობა?
ბათუმი და ხელვაჩაური

■ კი □ არა



გრაფიკი 28. განმარტა თუ
არა მოსამართლემ
სხდომის ეტაპების
მნიშვნელობა?
გორი და თელავი

■ კი □ არა



ტერმინები „შეჯიბრებითი“ და „ინკვიზიციური“ იმ ორი ტიპის პროცედურიდან გამომდინარეობს, რომლებიც სამართლებრივი დავების გადასაწყვეტად სამართალწარმოებისას გამოიყენება. შეჯიბრებით სისტემაში მხარეები თვითონ ირჩევენ, რა მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს, ინკვიზიციურ სისტემაში კი სასამართლოს შეუძლია ჩაატაროს საგამომიებო მოქმედებები ან/და შეაგროვოს ის მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე.⁸⁴ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ორივე ამ პრინციპის გამოყენებას ითვალისწინებს. მათი ერთობლიობა მოსამართლეს მისთვის განსახილველად წარდგენილი საქმის სრულყოფილად შესწავლასა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში უნდა ეხმარებოდეს.

ინკვიზიციურობის პრინციპის მიხედვით, მოსამართლეს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, მხარეებს მისცეს მითითებები, მოსთხოვოს მათ სარჩელის ან შეგებებული სარჩელის დაზუსტება, საქმის განხილვისას მოიწვიოს მესამე მხარე და მხარეებს დაავალოს გარკვეული მტკიცებულებების მოპოვება. მოსამართლე უფლებამოსილია მტკიცებულებები თავადაც მოიპოვოს, რათა საქმის ყველა ასპექტი სრულყოფილად შეისწავლოს და გაუადვილდეს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა. მოსამართლის ეს უფლებები მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის მიხედვითაც, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.⁸⁵

სამოქალაქო დავების გადაწყვეტისას მოსამართლეს ზემოაღნიშნული უფლებები არ აქვს. სამოქალაქო პროცესი შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება, რაც იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ სამოქალაქო დავის მიზანი მხოლოდ კერძო ინტერესების დაცვაა. ამის საპირისპიროდ, სწორედ საჯარო ინტერესის არსებობა განაპირობებს ადმინისტრაციულ საქმეებზე ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების აუცილებლობას. ვინაიდან ადმინისტრაციულ დავაზე სახელმწიფო არ უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას, მოსამართლის მიერ ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც კერძო მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს. ამგვარ საქმეებზე არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ კერძო მხარე მოსამართლის დახმარების გარეშე ვერ მოახერხებს პროცესში სრულფასოვან მონაწილეობას. ინკვიზიციური უფლებამოსილება მოსამართლეს წამყვან როლს აკისრებს საჯარო დაწესებულებასა და კერძო პირს შორის სამართლებრივი ბალანსის შენარჩუნებაში, ისე, რომ არ მოხდეს საჯარო ინტერესის ხელყოფა. თუმცა ინკვიზიციურობის პრინციპი არ გულისხმობს არც დავის მხარეების პასიურობას საქმის განხილვის დროს და არც იმას, რომ მხარეებს მოსამართლემ დაუსაბუთებელი შეზღუდვები დაუწესოს.⁸⁶ კერძო პირებს, რომლებიც ადმინისტრაციული

⁸⁴ David Jackson: Adversarial and Inquisitorial Systems Medico-Legal Society of NSW Inc Scientific Meeting, მარტი 2009, გვ.1.

⁸⁵ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.

⁸⁶ მ. კოპალეიშვილი და სხვები, გვ. 27.

ორგანოების წინააღმდეგ გამოდიან, პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეთ.⁸⁷

იმის დასადგენად, იყენებდნენ თუ არა მოსამართლეები ინკვიზიციურ უფლებამოსილებას, დამკვირვებლები მოსამართლის მიერ მხარეებისათვის დასმულ შეკითხვებს ინიშნავდნენ. ისინი ასევე აკვირდებოდნენ, საკუთარი ინიციატივით ჩააბა თუ არა მოსამართლემ საქმეში მესამე პირები, მისცა თუ არა მხარეებს რეკომენდაციები/ახსნა-განმარტებები, დაეხმარა თუ არა მათ მტკიცებულებების მოპოვებაში, დაადგინა თუ არა საქმესთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი გარემოება, თანამიმდევრულად იყენებდა თუ არა თავის უფლებამოსილებებს, ეხმარებოდა თუ არა მხარეებს თავიანთი უფლებებით სრულყოფილად სარგებლობაში და სხვა.

შედეგები

ინკვიზიციურობის პრინციპის შეფასებისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მონიტორინგის შედეგად მიღებულ დეტალურ სტატისტიკას ეყრდნობოდა, კომპლექსურად და ყოველმხრივ სწავლობდა თითოეულ საქმეზე მოპოვებულ ინფორმაციას და ითვალისწინებდა დამკვირვებლების ყოველი სხდომის შედეგად ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებებს.

ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პირველი მონიტორინგის ანგარიშში იყო აღნიშნული, მოსამართლეთა მიერ მხარეებისთვის მორიგების იშვიათად შეთავაზებას ეხებოდა. თბილისში მოსამართლეებმა მხარეებს მორიგება მთავარი სხდომების მხოლოდ 24.4%-ში შესთავაზეს. პირველი მონიტორინგის პერიოდში ეს მაჩვენებელი 26.7%-ს შეადგენდა. ბათუმსა და ხელვაჩაურში ამ მხრივ შედეგები პირველი მონიტორინგის პერიოდიდან მეორე მონიტორინგის პერიოდამდე გაუმჯობესდა. მეორე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა მხარეებს მორიგება მთავარი სხდომების 45.9%-ში შესთავაზეს, განსხვავებით პირველი მონიტორინგის პერიოდისგან, როდესაც ეს სხდომების 6.0%-ში დაფიქსირდა. გორსა და თელავში მოსამართლეებმა მხარეებს მორიგება საქმეთა მხოლოდ 18.8%-ში შესთავაზეს.⁸⁸

ისევე, როგორც პირველი მონიტორინგის პერიოდში, მოსამართლეები თავს იკავებდნენ ადმინისტრაციულ საქმეებში მესამე პირების ჩაბმისგან. თბილისში ეს 88 საქმიდან მხოლოდ 8-ში მოხდა. ბათუმსა და ხელვაჩაურში 35 საქმიდან მხოლოდ 3-ში ჩააბა მოსამართლემ მესამე პირი. გორსა და თელავში მესამე პირი არცერთ დაკვირვებულ (19) საქმეში არ ყოფილა ჩაბმული.⁸⁹

გარდა ამისა, მოსამართლეები დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების გამოთხოვის მხრივ საკმაოდ პასიურები იყვნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მონიტორინგის პერიოდში ასეთი შემთხვევა 142 საქმიდან მხოლოდ 6-ში დაფიქსირდა, მათ შორის, 3 თბილისში, 3 ბათუმსა და ხელვაჩაურში. გორსა და თელავში ასეთი შემთხვევა არ

⁸⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია 78 (8), „Resolution on Legal Aid and Advice“, 2 მარტი, 1978; Van der Musselle v Belgium, 1983, ECHR, პარ. 29-30; იხ. სქოლიო 27, გვ. 59.

⁸⁸ იხილეთ დანართი 6. ცხრილი 6.4. მხარეთა მორიგების შემთხვევები სტატისტიკაში გათვალისწინებული არ არის.

⁸⁹ იხილეთ დანართი 6, ცხრილი 6.1.

დაფიქსირებულა.⁹⁰ ტენდენცია თითქმის იგივე იყო პირველი მონიტორინგის პერიოდშიც, როდესაც თბილისში მოსამართლეებმა დამატებითი დოკუმენტაცია საკუთარი ინიციატივით 174-დან 6 სხდომაზე გამოითხოვეს, ბათუმსა და ხელვაჩაურში კი – 78 სხდომიდან 3-ზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებული საქმეებიდან მოსამართლეებმა მხარეებს მითითებები/რეკომენდაციები მხოლოდ 4-ში მისცეს: 1 შემთხვევა დაფიქსირდა თბილისში, 3 – ბათუმსა და ხელვაჩაურში. გორსა და თელავში დაკვირვებულ არცერთ საქმეში არ მიუცია მოსამართლეს მხარეებისთვის მითითებები/რეკომენდაციები.⁹¹

მოსამართლეები თბილისში განხილული საქმეების შემთხვევაში თითოეულ საქმეზე საშუალოდ 3-4 შეკითხვას სვამდნენ, ხოლო ბათუმსა და ხელვაჩაურში, ისევე, როგორც გორსა და თელავში, – საშუალოდ 2-3 შეკითხვას.⁹² პირველ მონიტორინგთან შედარებით, როდესაც მოსამართლეების მიერ თითოეულ სხდომაზე დასმული შეკითხვების საშუალო რაოდენობა თბილისსა და ბათუმში შესაბამისად 7-8-ს და 4-5-ს შეადგენდა, შეკითხვების რაოდენობა შემცირდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების უმნიშვნელო გაუმჯობესება შეინიშნა მეორე მონიტორინგის პერიოდში. მოსამართლეები უფრო მონდომებულები იყვნენ, იმ მხარეებისთვის, რომლებსაც არ ჰყავთ ადვოკატი/წარმომადგენელი, სხდომის თითოეული ეტაპის მნიშვნელობა განემარტათ. თბილისში მოსამართლეებმა აღნიშნული დაკვირვებული სხდომების 27.3%-ში განმარტეს. ბათუმსა და ხელვაჩაურში მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, გორსა და თელავში კი მსგავს შემთხვევას სხდომების 54.6%-ში ქონდა ადგილი.⁹³ თუმცა სასურველია, რომ ეს შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს.

მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეები

ზოგადად მოსამართლეთა პასიურობის მიუხედავად, იყო რამდენიმე მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმე, რომლებშიც მოსამართლეები იჩენდნენ ინიციატივას, მხარეებისგან დამატებითი ინფორმაცია გამოეთხოვათ, ან მხარეებისთვის მითითებები და რეკომენდაციები მიეცათ.

ნადირობის შესახებ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ დავაში მოსამართლემ ინკვიზიციური უფლებამოსილება გამოიყენა, რამაც უპირატესობა მიანიჭა პროცესში მოპასუხედ ჩართულ სახელმწიფო მხარეს. მოსამართლემ გააფრთხილა სახელმწიფოს წარმომადგენლები შეგებებული სარჩელის მოსამზადებელ სხდომაზე წარმოდგენის შესახებ. ამასთანავე, მთავარ სხდომაზე ახსნა-განმარტებების ეტაპზე მოსამართლემ მოსთხოვა სახელმწიფოს წარმომადგენლებს,

⁹⁰ იხილეთ დანართი 6, ცხრილი 6.2.

⁹¹ იხილეთ დანართი 6, ცხრილი 6.3.

⁹² იხილეთ დანართი 6, ცხრილი 6.10.

⁹³ მიუხედავად იმისა, რომ პირველი მონიტორინგის პერიოდში სტატისტიკური მონაცემები არ არსებობდა, დამკვირვებლებმა აღნიშნეს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსამართლე მხარეს პროცედურებს ადვოკატის/წარმომადგენლის გარეშე უხსნიდა.

წარმოედგინათ ბრძანების სამართლებრივი დასაბუთება და არ მოეხდინათ თავიანთი პოზიციის მხოლოდ სარჩელის დასაშვებობაზე კონცენტრირება.

სხვა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებში მოსამართლის მიერ ინკვიზიციური უფლებამოსილების გამოყენებამ დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ საქმეებს შესაბამის თავებში უფრო დეტალურად განიხილავს.


რეკომენდაციები

კერძო პირებს, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოების წინააღმდეგ გამოდიან, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, სრულად მიიღონ მონაწილეობა პროცესში. ამ მხრივ მოსამართლის მიერ ინკვიზიციური უფლებამოსილების განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში, სადაც ადმინისტრაციულ დავებზე სახელმწიფო არ უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას.


მოსამართლეები უფრო აქტიურები უნდა იყვნენ მხარეებისთვის მორიგების შეთავაზებისას. იმ სხდომების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებზედაც მიღწეულ იქნა მორიგება, საკმაოდ დაბალია, იმის გათვალისწინებითაც კი რომ ზოგ შემთხვევაში მორიგების შეთავაზება შეუძლებელია. ამ კუთხით წინა მონიტორინგთან შედარებით გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ავალდებულებს მოსამართლეებს, განუმარტონ მხარეებს მათი უფლებები და სხდომის ეტაპები, მნიშვნელოვანია, მოსამართლემ გამოიყენოს ეს შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ საქმეებში, რომლებშიც მხარეს ადვოკატი არ წარმოადგენს.


გრაფიკი 29. შესთავაზა თუ არა მოსამართლემ მხარეებს მორიგება? (მთავარ სხდომაზე) თბილისი




გრაფიკი 30. შესთავაზა თუ არა მოსამართლემ მხარეებს მორიგება? (მთავარ სხდომაზე) ბათუმი და ხელვაჩაური




გრაფიკი 31. შესთავაზა თუ არა მოსამართლემ მხარეებს მორიგება? (მთავარ სხდომაზე) გორი და თელავი




გრაფიკი 32. მოსამართლის მიერ დასმული კითხვების საშუალო რაოდენობა. თბილისი



გრაფიკი 33. მოსამართლის მიერ დასმული კითხვების საშუალო რაოდენობა. ბათუმი და ხელვაჩაური



გრაფიკი 34. მოსამართლის მიერ დასმული კითხვების საშუალო რაოდენობა. გორი და თელავი



საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი არის ადმინისტრაციული სამართალწარმოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც ინკვიზიციურობის პრინციპთან ერთად მოქმედებს. მოსამართლეთა მიუკერძოებლობის პრინციპი აღიარებულია რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტით, მათ შორის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით. ამ პრინციპის მნიშვნელობა ხაზგასმით იყო აღნიშნული მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე, რის შედეგადაც მიღებულ იქნა ისეთი აქტები⁹⁴, როგორებიცაა ევროპის საბჭოს რეკომენდაციები⁹⁵ და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის კიევის რეკომენდაციები⁹⁶.

ამგვარად, მოსამართლეები ვალდებული არიან უზრუნველყონ სასამართლო დარბაზში შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის განუხრელი დაცვა. მხარეთა თანასწორობის პრინციპი მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს, როდესაც მხარეები კერძო პირები და ადმინისტრაციული ორგანოები არიან. მოსამართლემ, რომელიც საჯარო მოხელეა, უნდა გადაწყვიტოს დავები, რომლებშიც საჯარო დაწესებულებები მონაწილეობენ. მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე სახელმწიფოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა და არ გაჩნდეს ეჭვი მის მიკერძოებულობაზე.⁹⁷

მიუკერძოებლობის პრინციპი ასევე გულისხმობს კერძო პირების შესაძლებლობას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროცესებში, რათა სამართლიანად წარიმართოს პროცესი.⁹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვს „სამართლიან ბალანსს“ მხარეებს შორის, რაც გულისხმობს მხარის შესაძლებლობას დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია ისეთ ვითარებაში, რომელიც არ ჩააყენებს მას წამგებიან მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით.⁹⁹

მხარეთა თანასწორობა შეიძლება დაირღვეს, თუ მოსამართლე: ზედმეტად აქტიურობს; მხარეებს სიტყვას აწყვეტინებს; კითხვების მოცულობას ან რაოდენობას ზღუდავს, ან მათ შინაარსს ცვლის; მხოლოდ ერთი მხარის შუამდგომლობებს აკმაყოფილებს; დამატებითი ინფორმაციის წარდგენას მხოლოდ ერთი მხარისგან მოითხოვს; ისეთ მტკიცებულებებს მოიპოვებს, რომლებიც მხოლოდ ერთი მხარის არგუმენტების გამყარებას უწყობს ხელს. ამასთანავე, შეჯიბრებითობის პრინციპი მოსამართლის ზედმეტმა პასიურობამაც შეიძლება დაარღვიოს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ, მაგალითად, ერთი მხარე ხელს უშლის მეორის მიერ

⁹⁴ კიევის რეკომენდაციები სასამართლოს დამოუკიდებლობაზე აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში.

⁹⁵ რეკომენდაციები მოსამართლის დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის, პასუხისმგებლობის და ევროპული მოსამართლეების დებულებაზე. *მოსამართლეების დებულების მიღება. სტრასბურგი*, 8–10 ივლისი, 1998, DAJ/DOC (98) 23.

⁹⁶ იხილეთ სქოლიო 27.

⁹⁷ იქვე, გვ. 63.

⁹⁸ იქვე, გვ. 72.

⁹⁹ *Schuler-Zraggen v Switzerland*, 1993, ECHR, პარ. 50–52.

უფლებებით სარგებლობას და მოსამართლე არ იღებს სათანადო ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, არ ზღუდავს მხარეს ისეთი კითხვების დასმისას, რომელთა შეზღუდვაც აუცილებელია (მაგალითად კითხვებისა, რომლებიც არ ეხება დავის საგანს), არ გამოითხოვს დავის არსის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას და სხვა.

მოსამართლის მიუკერძოებლობა დარღვეულია, როდესაც არსებობს ფაქტობრივი დამოკიდებულების ან მიკერძოებულობის მტკიცებულებები (სუბიექტური მიუკერძოებლობის დარღვევა), ან ფაქტობრივი გარემოებები ბადებს დამოკიდებულების ან მიკერძოებულობის გონივრულ ეჭვს (ობიექტური მიუკერძოებლობის დარღვევა).¹⁰⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვირვებები დაფუძნებულია დამკვირვებელთა მიერ შეგროვებულ ფაქტობრივ ინფორმაციაზე.

შედეგები

პირველი მონიტორინგის ანგარიშის მონაცემების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები იცავდნენ შეჯიბრებითობას/მხარეთა თანასწორობას. ეს ტენდენცია მეორე მონიტორინგის პერიოდში არ შეცვლილა. ადმინისტრაციული დავის დროს მხარეებს თანაბრად ეძლეოდათ თავიანთი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა.

მაგალითად, თბილისში მოსამართლეები აკმაყოფილებდნენ ან არ აკმაყოფილებდნენ მოსარჩელების ან მოპასუხეების ერთი და იმავე რაოდენობის შუამდგომლობებს. ანალოგიურად, ბათუმსა და ხელვაჩაურში მოსარჩელეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობები საქმეთა 72.2%-ში დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეებთა მიერ დაყენებული – საქმეთა 75%-ში. გორსა და თელავში მონაცემები თითქმის იგივე იყო. ამ სასამართლოებში ზეპირი მოსმენების დროს მოპასუხეების მიერ დაყენებული სამი შუამდგომლობიდან ერთი დაკმაყოფილდა, მოსარჩელებმა კი დააყენეს მხოლოდ ერთი შუამდგომლობა, რომელიც არ დაკმაყოფილდა.¹⁰¹

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ვერ გამოავლინა ვერცერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლე ზღუდავდა მხარეებს სხდომის გახსნისას. ეს გაუმჯობესებაა წინა მონიტორინგთან შედარებით, როდესაც ზოგ შემთხვევაში მოსამართლეები მხარეებს ახსნა-განმარტებას აწყვეტინებდნენ.

თუმცა განსხვავებული მდგომარეობა იყო მოსამართლის მიერ მხარეთა შეკითხვების მოხსნის მხრივ. თბილისში მოსამართლემ მოსარჩელებს კითხვა საქმეთა 14.5%-ში მოუხსნა, ხოლო მოპასუხეებს – საქმეთა 3.6%-ში. ბათუმსა და ხელვაჩაურში მაჩვენებლები შესაბამისად 5.9% და 2.9% იყო, გორსა და თელავში კი – 10.5% და 5.3%. აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, ადმინისტრაციულ საქმეებში მოსარჩელე კერძო პირია, ხოლო მოპასუხე – სახელმწიფო.

¹⁰⁰ იხილეთ სქოლიო 27.

¹⁰¹ იხილეთ დანართი 7. ცხრილები 7.3 და 7.4.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოავლინა შემთხვევები, როდესაც მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებში მოსამართლე სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ იყო მიკერძოებული.

მაგალითად, ზემოთ განხილული ნადირობის შესახებ ბრძანების ბათილობის თაობაზე საქმის განხილვისას სახელმწიფო მხარემ მთავარ სხდომაზე ბრძანებაში შესული ცვლილება წარმოადგინა. მოსარჩელე კერძო პირმა (ააიპ „მწვანე ალტერნატივა“) ბრძანების უკეთ გასაცნობად ხუთი წუთის გამოყოფა მოითხოვა. მოსამართლემ მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა და სანაცვლოდ ხმამაღლა წაიკითხა ბრძანება.¹⁰²

ასევე მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეში, რომელიც პოლიტიკური პარტიებისათვის უკანონო შემოწირულებების განხორციელებისთვის დაკისრებულ მაღალ ჯარიმას ეხებოდა, კერძო მხარემ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, გადადებულიყო მთავარი სხდომა, რათა უკეთ გასაცნობოდნენ საქმის მასალებს.¹⁰³ კერძო მხარის მტკიცებით, საქმის მასალები მათ სხდომამდე ერთი დღით ადრე გადაეცათ და, შესაბამისად, არ დარჩათ საკმარისი დრო მომზადებისთვის. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმ საფუძველით, რომ მხარეს საკმარისი დრო ჰქონდა, შეესწავლა საქმის მასალები და მომზადებულიყო სხდომისთვის.

როგორც ზემოთ მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის თავში განვიხილეთ, ერთ-ერთ მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეში, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაჯარიმებას ეხებოდა, მოსამართლემ პაექრობის ეტაპზე დააკმაყოფილა სახელმწიფო მხარის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მხარემ ვერ მოახერხა შუამდგომლობის უფრო ადრინდელ ეტაპზე დაყენების შეუძლებლობის დასაბუთება. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება რადიკალურად განსხვავდებოდა იმავე საქმეში წერილობით წარდგენილ შუამდგომლობაზე მიღებული გადაწყვეტილებისგან, როდესაც არ დაკმაყოფილდა კერძო მხარის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კერძო მხარემ წერილობითი შუამდგომლობა სასამართლოს მთავარი სხდომის გახსნამდე პროცედურული წესის დაცვით წარუდგინა. ამ საქმეზე კერძო მხარემ მთავარ სხდომაზე ვერ უზრუნველყო საკუთარი მოწმეების დაბარება და საბოლოოდ საქმე წააგო.¹⁰⁴

¹⁰² იხილეთ „ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინააღმდეგ“.

¹⁰³ იხილეთ „კონტროლის პალატა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ“.

¹⁰⁴ კერძო მხარის შუამდგომლობა სხდომის დროს წარდგენილი არ ყოფილა; „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებისთვის კერძო მხარის შუამდგომლობის შესახებ ახსნა-განმარტებების დროს გახდა ცნობილი.

ეს შემთხვევები ცხადყოფს, რომ შუამდგომლობების დასაბუთების გარეშე დაკმაყოფილება ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იყო ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელმაც მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებში აშკარად შელახა მხარეთა თანასწორობის პრინციპი.


რეკომენდაციები

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა თანასწორობა, მოსამართლეებმა, ერთი მხრივ, უნდა გამოიყენონ ინკვიზიციური უფლებამოსილება და ხელი შეუწყონ კერძო მხარეს უფლებების სრულად განხორციელებაში, მეორე მხრივ კი, თავი უნდა შეიკავონ ქმედებებისგან, რომლებმაც შესაძლოა დაარღვიოს რომელიმე მხარის უფლებები. მოსამართლეებმა მხარეებს უნდა მისცენ საკმარისი დრო იმისთვის, რომ გაეცნონ საქმის მასალებს, და ამის უზრუნველსაყოფად საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გადადონ საქმის განხილვა. შუამდგომლობები მთავარი სხდომის გახსნის შემდეგ მხოლოდ საპატიო მიზეზების არსებობისას უნდა დაკმაყოფილდეს და მოსამართლეებმა შუამდგომლობის დაშვების შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთება უნდა წარმოადგინონ. სხვა შემთხვევაში ასეთი ქმედებები მოსამართლის მიკერძოებულობაზე მიაჩნდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსგავსი შუამდგომლობა, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ უფრო ადრინდელ ეტაპზე დააყენა, არ დაკმაყოფილდა.

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები საქმეთა უმეტესობაში მხარეთა თანასწორობის საკითხში მნიშვნელოვან პრობლემებზე არ მიუთითებს, იგივე არ ითქმის პოლიტიკური შინაარსის მქონე საქმეებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი არ ირღვეოდეს პოლიტიკური ინტერესების მქონე საქმეებში.


გრაფიკი 35. მხარეთა მიერ წარდგენილი შუამდგომლობების დაკმაყოფილება (მთავარი სხდომა) თბილისი

- დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა
- დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა




გრაფიკი 36. მხარეთა მიერ წარდგენილი შუამდგომლობების დაკმაყოფილება (მთავარი სხდომა) ბათუმი და ხელვაჩაური

- დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა
- დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა



გრაფიკი 37. მხარეთა მიერ წარდგენილი შუამდგომლობების დაკმაყოფილება (მთავარი სხდომა) გორი და თელავი

- დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა
- დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა



დავის შედეგები


ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას საპროცესო ნორმების დაცვის მონიტორინგის გარდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ასევე მონიტორინგი განახორციელა დავის შედეგებზე დაკვირვებულ 149 საქმეზე.¹⁰⁵ დაკვირვებულ საქმეთა 89.9% (149 საქმიდან 143) სრულად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს სასარგებლოდ დასრულდა. კერძოდ, თბილისში სრულად ან ნაწილობრივ სახელმწიფოს სასარგებლოდ საქმეთა 93.5% დასრულდა, ბათუმსა და ხელვაჩაურში – 84.2%, გორსა და თელავში კი – 81.2%.¹⁰⁶

აღსანიშნავია, რომ პირველი მონიტორინგის პერიოდში სახელმწიფო მხარის წარმატების მაჩვენებელი 92.6% (108 საქმიდან 100) იყო. აღნიშნული სტატისტიკა მიუთითებს, რომ იმ საქმეების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებშიც სახელმწიფო მხარე უფრო ხელსაყრელ შედეგებს იღებდა, შემცირდა, თუმცა არა მნიშვნელოვნად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ არსებითად არ შეუსწავლია ადმინისტრაციული საქმეები და არც იმ საქმეთა მასალები, რომელთა მონიტორინგსაც ახორციელებდა. ვინაიდან დავათა შინაარსი არ შეფასებულა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გადაწყვეტილებების სამართლიანობაზე ან კანონიერებაზე მოსაზრებას არ გამოთქვამს, თუმცა სახელმწიფოს მიერ ადმინისტრაციული დავების მოგების მეტად მაღალი მაჩვენებელი გადაწყვეტილებების გამოტანისას სასამართლოს სახელმწიფოს სასარგებლოდ შესაძლო მიკერძოებულობაზე მიუთითებს.


გრაფიკი 38. რომელი მხარის სასარგებლოდ გადაწყდა დავა? თბილისი

- სახელმწიფოს
- კერძო მხარის
- ორივესი ნაწილობრივ




გრაფიკი 39. რომელი მხარის სასარგებლოდ გადაწყდა დავა? ბათუმი და ხელვაჩაური

- სახელმწიფოს
- კერძო მხარის
- ორივესი ნაწილობრივ



გრაფიკი 40. რომელი მხარის სასარგებლოდ გადაწყდა დავა? გორი და თელავი

- სახელმწიფოს
- კერძო მხარის
- ორივესი ნაწილობრივ



¹⁰⁵ მათ შორის, მორიგებით დასრულებული საქმეებისა.

¹⁰⁶ იხილეთ დანართი 8, ცხრილი 8.2.

2012 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე ადმინისტრაციული საქმეებზე მონიტორინგის დროს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წინა მონიტორინგის პერიოდთან შედარებით გარკვეული გაუმჯობესებები გამოავლინა, თუმცა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მნიშვნელოვანი პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა.

ამ მონიტორინგის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დადებითად აფასებს მოსამართლეების მიერ სასამართლო სხდომების დაწყების პუნქტუალობას, აგრეთვე მოსამართლეების შედარებით მეტ ინიციატივას მხარეებისთვის დავის მორიგებით დასრულების შეთავაზებისას. მოსამართლეებმა ასევე გააუმჯობესეს გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში გამოტანა, ისე, როგორც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. ამასთანავე, მოსამართლეებმა გააუმჯობესეს სხდომის დაწყებამდე დავის მხარეთათვის მათი უფლებების შესახებ უფრო ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება; გარდა ამისა, ისინი მხარეებს აძლევდნენ შესაძლებლობას, სხდომის პროცესში თავისუფლად დაეცვათ თავიანთი პოზიციები.

პირველი მონიტორინგის პერიოდთან შედარებით კიდევ ერთი გაუმჯობესებაა კერძო პირთა სასარგებლოდ დასრულებული საქმეების რაოდენობის მცირედი ზრდა. თუმცა ადმინისტრაციულ საქმეებში სახელმწიფო მხარის წარმატების მაჩვენებელი ჯერ კიდევ ძალიან მაღალია, რაც, როგორც წესი, ბადებს ეჭვს სასამართლოს არაობიექტურობაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსამართლეების მიკერძოებულობა მაშინდელი მმართველი ხელისუფლების ოპონენტების წინააღმდეგ, კერძოდ, მაღალი საჯარო ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ საქმეებში, რომლებიც 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე დაიწყო. მაგალითად, სასამართლომ 5 თვეზე მეტი დრო მოანდომა იმ საქმის განხილვას, რომელშიც მოპასუხედ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იყო ჩართული. ეს აკრძალულია საპროცესო კანონმდებლობით. სხვა საქმეში, რომელიც იმ დროისთვის მმართველი პარტიის პოლიტიკურ ოპონენტებს ეხებოდა, მხარეს ძალიან ცოტა დრო მიეცა იმისთვის, რომ შეესწავლა საქმის მასალები და სათანადოდ მომზადებულიყო საქმისთვის. სასამართლო ასევე აფერხებდა მოქალაქეების უფლებას, თავისუფლად დასწრებოდნენ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხდომებს, რადგანაც არ აქვეყნებდა ამ სხდომების განრიგებს და ირჩევდა საქმისთვის შეუსაბამოდ მცირე ზომის სასამართლო დარბაზებს. ამასთანავე, სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალი უარს აცხადებდა, გაეცა ინფორმაცია განუსაზღვრელი დროით გადადებული მაღალი საჯარო ინტერესის მქონე სხდომების თარიღისა და დროის შესახებ.

ისევე, როგორც ადრე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს მოსამართლეები, როგორც წესი, იშვიათად იყენებდნენ ინკვიზიციურ უფლებამოსილებას, თუმცა ზოგ შემთხვევაში, როდესაც ისინი აქტიურად იყენებდნენ აღნიშნულ უფლებას, აშკარად სახელმწიფო მხარეს აყენებდნენ უპირატეს მდგომარეობაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეებში სახელმწიფო მხარის წარმატების უჩვეულოდ მაღალ მაჩვენებელს შეუძლია ხელი შეუშალოს

საქართველოს სასამართლო სისტემის განვითარებას, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის გამოყენებას. გარდა ამისა, ანგარიშმა გამოავლინა ტენდენცია, რომ მოსამართლეები, როგორც წესი, განასხვავებენ რიგით და მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებს. მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებში, რომლებშიც აშკარაა სახელმწიფო პოლიტიკური ინტერესი, სასამართლო სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ მოქმედებდა და ზღუდავდა კერძო მხარეს, რითაც არაერთ საპროცესო პრინციპს არღვევდა.

აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საქართველოს სასამართლო სისტემას შემდეგ რეკომენდაციებს წარუდგენს:

- ადმინისტრაციულ საქმეთა სხდომების გადადების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს მოსამართლეების ერთგვაროვანი მიდგომა და გონივრული დასაბუთება, რათა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე დავა არ გაგრძელდეს გაუმართლებლად დიდხანს.
- უზრუნველყოფილ იქნეს, დანიშნულზე დღეზე ადრე სხდომათა ოფიციალურ განრიგში გამოქვეყნება, ასევე დაიტერესებული მოქალაქეებისთვის სასამართლო პროცესების ხელმისაწვდომობა და დასმწრე პირთა უფლება მოისმინონ მხარეთა არგუმენტაცია.
- სასამართლოს ვებგვერდზე ან ელექტრონულ დაფებზე გამოქვეყნდეს დავის საგანი შესაბამისი მუხლის მითითებით, რათა დაინტერესებულ პირს სასამართლო დარბაზში შესვლამდე ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა სხდომის დროს განსახილველ საკითხზე.
- სხდომის გახსნისას მოსამართლეებმა უზრუნველყონ თითოეული საქმის შინაარსის მოკლედ აღწერა.
- უზრუნველყოფილ იქნეს შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებების დასაბუთება.
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ადმინისტრაციულ დავაში კერძო პირებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, სრულად მიიღონ მონაწილეობა სასამართლო პროცესებში. ამ მხრივ საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ ინკვიზიციური უფლებამოსილების გამოყენება, რადგან ადმინისტრაციულ დავებზე სახელმწიფო არ უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას.
- მოხდეს მოსამართლეების წახალისება, აქტიურად გამოიყენონ ინკვიზიციური უფლებამოსილება სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში მოსამართლეებმა უნდა მოიწვიონ/ჩააბან მესამე მხარეები, მოწმეები, ექსპერტები საქმეში, დასვან კითხვები საქმის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტის გამოკვლევის მიზნით. მოსამართლეებმა ასევე უნდა განუმარტონ მხარეებს მათი უფლებები და ის, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ეს უფლებები სხდომის ყველა ეტაპზე, აგრეთვე შესთავაზონ მხარეებს დავის მორიგებით დასრულება. მოსამართლეების მიერ ინკვიზიციური უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საქმეში, რომელშიც კერძო მხარეს არ ყავს ადვოკატი/წარმომადგენელი.

დანართები

დანართი 1. დასწრებული საქმეების და სხდომების რაოდენობა

ცხრილი 1.1 – ზოგადი ინფორმაცია:

სასამართლო	დასწრებული საქმე	დასწრებული სხდომა	მოსამზადებელი სხდომა	მთავარი სხდომის გახსნა	მთავარი სხდომა	გადაწყვეტილების გამოცხადება
თბილისი	88	147	30	80	88	88
ბათუმი	31	106	7	34	36	35
ხელვაჩაური	4	6				
გორი	16	19	6	16	19	19
თელავი	3	4				
სულ	142	282	43	130	143	142

ცხრილი 1.2 – განუსაზღვრელი ვადით გადადებული საქმე:

სასამართლო	გადადებული საქმე	საქმეები რომლებზეც შეწყდა წარმოება		
		მხარეები მორიგდნენ	დაუშვებლად იქნა ცნობილი	მოსარჩელემ გაითხოვა სარჩელი
თბილისი	22 საქმე 42 სხდომა	4 საქმე 4 სხდომა	4 საქმე 5 სხდომა	11 საქმე 17 სხდომა
ბათუმი ხელვაჩაური	1 საქმე 1 სხდომა	3 საქმე 5 სხდომა	5 საქმე 5 სხდომა	5 საქმე 6 სხდომა
გორი თელავი	1 საქმე 1 სხდომა	0 საქმე	0 საქმე	0 საქმე
სულ	24 საქმე 44 სხდომა	7 საქმე 9 სხდომა	9 საქმე 10 სხდომა	16 საქმე 23 სხდომა

დანართი 2. დასწრებული საქმეების რაოდენობა ადმინისტრაციული ორგანოების მიხედვით

ცხრილი 2.1

ადმინისტრაციული ორგანო	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
საჯარო რეესტრი, საკუთრების უფლების აღიარების კომისია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.	34	21	3
მერია, ქალაქის ზედამხედველობის სამსახური	23	3	0
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	2	0	0
აღსრულების ეროვნული ბიურო	0	3	1
კონტროლის პალატა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის სამსახური, ცენტრალური საარჩევნო კომისია	11	3	0
საქართველოს კომინიკაციების ეროვნული კომისია	3	0	0
სოციალური მომსახურების სააგენტო	2	0	0
სხვა	13	5	15
	88	35	19

დანართი 3. პუნქტუალურობა და საქმის განხილვის გონივრული ვადა

ცხრილი 3.1 – დანიშნულ დროს/დანიშნულ დროზე გვიან დაწყებული სხდომების პროცენტული რაოდენობა (ყველა დასწრებული სხდომიდან):

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
სულ დასწრებული სხდომები	147 სხდომა	112 სხდომა	23 სხდომა
დანიშნულ დროს დაწყებული სხდომები	67.3% 99 სხდომა	54.5% 61 სხდომა	52.2% 12 სხდომა
დანიშნულ დროზე გვიან დაწყებული სხდომები	32.7% 48 სხდომა	45.5% 51 სხდომა	47.8% 11 სხდომა

ცხრილი 3.2 – დანიშნულზე 10 წუთის ან მეტის დაგვიანებით დაწყებული სხდომების პროცენტული რაოდენობა (გვიან დაწყებული სხდომებიდან):

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
სულ გვიან დაწყებული სხდომები	147 სხდომა	112 სხდომა	23 სხდომა
10 წუთის ან მეტის დაგვიანებით დაწყებული სხდომები	13.6% 20 სხდომა	36.6% 41 სხდომა	34.8% 8 სხდომა

ცხრილი 3.3 –რამდენი წუთის დაგვიანებით იწყებოდა სხდომები (გვიან დაწყებული სხდომებიდან):

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
საშუალო დაგვიანება	4.8 წუთი	11.4 წუთი	4.3 წუთი
მაქსიმალური დაგვიანება	95 წუთი	95 წუთი	40 წუთი

ცხრილი 3.4 – გამოაცხადა თუ არა მოსამართლემ სხდომის 10 წუთზე მეტად დაგვიანების მიზეზი?

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
10 წუთით ან მეტით დაგვიანებული სხდომები	20 სხდომა	41 სხდომა	8 სხდომა
მიზეზი გამოცხადდა	30% 6 სხდომა	9.8% 4 სხდომა	0% 0 სხდომა
მიზეზი არ გამოცხადდა	70% 14 სხდომა	90.2% 37 სხდომა	100% 8 სხდომა

ცხრილი 3.5 – 10 წუთით ან მეტით დაგვიანებული სხდომების გვიან დაწყების მიზეზები:

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
10 წუთით ან მეტით დაგვიანებული სხდომები	20 სხდომა	41 სხდომა	8 სხდომა
წინა სხდომა გაგრძელდა დიდხანს	30% 6 სხდომა	9.7% 4 სხდომა	0
ერთ-ერთმა მხარემ დაიგვიანა	15% 3 სხდომა	4.9% 2 სხდომა	0
სხვა ¹⁰⁷	5% 1 სხდომა	0% 0 სხდომა	0
უცნობია	50% 10 სხდომა	85.4% 35 სხდომა	100% 8 სხდომა

ცხრილი 3.6. - საშუალოდ რამდენ ხანს გაგრძელდა დავა?

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
საშუალო	8.1 დღე	23.1 დღე	2.8 დღე
მაქსიმალური	154 დღე	84 დღე	16 დღე
მინიმალური	1 დღე	1 დღე	1 დღე

¹⁰⁷ სხდომის დაგვიანებით დაწყების 'სხვა' მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ სასამართლო ელოდებოდა მდივნის მხრიდან იმის დადასტურებას, რომ დავის ყველა მხარეს ჩაბარდა უწყება სხდომაზე დაბარების შესახებ.

დანართი 4. სხდომათა საჯაროობა

ცხრილი 4.1 – განრიგიდან გამორჩენილი სხდომები:

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
სულ დაკვირვებული სხდომები	147 სხდომა	112 სხდომა	23 სხდომა
განრიგში გამოქვეყნებული სხდომები	83.7% 123 სხდომა	81.2% 91 სხდომა	95.7% 22 სხდომა
განრიგიდან გამორჩენილი სხდომები	16.3% 24 სხდომა	18.8% 21 სხდომა	4.3% 1 სხდომა

ცხრილი 4.2 - დავის საგნის გამოქვეყნება:

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
სულ განრიგში გამოქვეყნებული სხდომები	123 სხდომა	91 სხდომა	23 სხდომა
დავის საგანი გამოქვეყნდა	0% 0 სხდომა	91.2% 83 სხდომა	73.9% 17 სხდომა
დავის საგანი არ გამოქვეყნდა	100% 123 სხდომა	8.8% 8 სხდომა	26.1% 6 სხდომა

ცხრილი 4.3 - დადგინდა თუ არა მოსარჩელის ადვოკატის/წარმომადგენლის ვინაობა?

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
სულ დაკვირვებული საქმეები	88 საქმე	35 საქმე	19
ვინაობა დადგინდა	80.7% (71 საქმე)	88.6% (31 საქმე)	84.2% (16 საქმე)
ვინაობა ვერ დადგინდა	19.3% (17 საქმე)	11.4% (4 საქმე)	15.8% (3 საქმე)

ცხრილი 4.4 - საქმეები რომლებზე გამართული ერთ-ერთი სხდომა მაინც არ ჩაიწერა აუდიო ჩამწერი სისტემის მეშვეობით.

	თბილისი	ბათუმი ხელვაჩაური	გორი თელავი
სულ დაკვირვებული საქმეები	88 საქმე	35 საქმე	19 საქმე
ყველა სხდომა იწერებოდა	82.9% 73 cases	74.3% 26 cases	100% 19 cases
ერთ-ერთი სხდომა მაინც არ იწერებოდა	17.1% 15 cases	25.7% 9 cases	0% 0 case

ცხრილი 4.5 - აძლევდა თუ არა მოსამართლე სხდომის მდივანს მითითებას აუდიო ჩამწერი სისტემის ჩართვისა და გამორთვის შესახებ?

თბილისი		ბათუმი ხელვაჩაური		გორი თელავი	
დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
30.7% 27 საქმე	69.3% 61 საქმე	2.9% 1 საქმე	97.1% 34 საქმე	68.4% 13 საქმე	31.6% 6 საქმე

დანართი 5. მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი

ცხრილი 5.1 – შეამოწმა თუ არა სასამართლომ დამსწრე მხარეთა საიდენტიფიკაციო დოკუმენტები?

	თბილისი			ბათუმი ხელვაჩაური			გორი თელავი		
	დიახ	არა	ვერ დადგინ და	დიახ	არა	ვერ დადგინ და	დიახ	არა	ვერ დადგინ და
მოსამზადე ბელი სხდომის ეტაპზე	93.3% 28 სხდომა	6.7% 2 სხდომა	% 0 სხდომა	42.9% 3 სხდომა	42.9% 3 სხდომა	14.2% 1 სხდომა	100% 6 სხდომა	% 0 სხდომა	% 0 სხდომა
მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზე	92.5% 74 სხდომა	5% 4 სხდომა	2.5% 2 სხდომა	50% 17 სხდომა	50% 17 სხდომა	0% 0 სხდომა	93.75% 15 სხდომა	0% 0 სხდომა	6.25% 1 სხდომა

ცხრილი 5.2 – შეამოწმა თუ არა სასამართლომ მხარეთა ადვოკატების/წარმომადგენლების საიდენტიფიკაციო დოკუმენტები?

	თბილისი			ბათუმი ხელვაჩაური			გორი თელავი		
	დიახ	არა	ვერ დადგინ და	დიახ	არა	ვერ დადგინ და	დიახ	არა	ვერ დადგინ და
მოსამზადე ბელი სხდომის ეტაპზე	93.3% 28 სხდომა	6.7% 2 სხდომა	0% 0 სხდომა	57.1% 4 სხდომა	28.6% 2 სხდომა	14.3% 1 სხდომა	100% 6 სხდომა	0% 0 სხდომა	0% 0 სხდომა
მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზე	93.75% 75 სხდომა	5% 4 სხდომა	1.25% 1 სხდომა	61.8% 21 სხდომა	38.2% 13 სხდომა	0% 0 სხდომა	100% 16 სხდომა	0% 0 სხდომა	0% 0 სხდომა

ცხრილი 5.3 – გამოაცხადა თუ არა მოსამართლემ განსახილველი საქმე?

	თბილისი		ბათუმი ხელვაჩაური		გორი თელავი	
	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
მოსამზადე ბელი სხდომის ეტაპზე	100% 30 სხდომა	0% 0 სხდომა	85.7% 6 სხდომა	14.3% 1 სხდომა	100% 6 სხდომა	0% 0 სხდომა
მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზე	97.5% 78 სხდომა	2.5% 2 სხდომა	88.2% 30 სხდომა	11.8% 4 სხდომა	100% 16 სხდომა	0% 0 სხდომა

ცხრილი 5.4 – გამოაცხადა თუ არა მოსამართლემ სასამართლოს შემადგენლობა (წარადგინა საკუთარი თავი)?

	თბილისი		ბათუმი ხელვაჩაური		გორი თელავი	
	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
მოსამზადე ბელი სხდომის ეტაპზე	93.3% 28 სხდომა	6.7% 2 სხდომა	85.7% 6 სხდომა	14.3% 1 სხდომა	100% 6 სხდომა	0% 0 სხდომა
მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზე	97.5% 78 სხდომა	2.5% 2 სხდომა	94.1% 32 სხდომა	5.9% 2 სხდომა	87.5% 14 სხდომა	12.5% 2 სხდომა

ცხრილი 5.5 – მიმოიხილა თუ არა მოსამართლემ საქმის არსი მოკლედ სხდომის გახსნისას?

	თბილისი		ბათუმი ხელვაჩაური		გორი თელავი	
	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
მოსამზადე ბელი სხდომის ეტაპზე	53.3% 16 სხდომა	46.7% 14 სხდომა	57.1% 4 სხდომა	42.9% 3 სხდომა	33.3% 2 სხდომა	66.7% 4 სხდომა
მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზე	61.25% 49 სხდომა	38.75% 31 სხდომა	73.5% 25 სხდომა	26.5% 9 სხდომა	75% 12 სხდომა	25% 4 სხდომა

5.6 – გააფრთიხლა თუ არა მოსამართლემ დამსწრე საზოგადოება წესრიგის დარღვევის შემთხვევაში შესაძლო ზომების გამოყენების შესახებ?

	თბილისი		ბათუმი ხელვაჩაური		გორი თელავი	
	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე	83.3% 25 სხდომა	16.7% 5 სხდომა	71.4% 5 სხდომა	28.6% 2 სხდომა	66.7% 4 სხდომა	33.3% 2 სხდომა
მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზე	80% 64 სხდომა	20% 16 სხდომა	76.5% 26 სხდომა	23.5% 8 სხდომა	81.25% 13 სხდომა	18.75% 3 სხდომა

ცხრილი 5.7 – გააცნო თუ არა მოსამართლემ მხარეებს მათი უფლება მოსამართლის აცილების შესახებ?

	თბილისი		ბათუმი ხელვაჩაური		გორი თელავი	
	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე	93.3% 28 სხდომა	6.7% 2 სხდომა	85.7% 6 სხდომა	14.3% 1 სხდომა	83.3% 5 სხდომა	16.7% 1 სხდომა
